


თ K574
3

2015-15511

ქვემო ქართლი

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში

I



ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР
Институт языка, истории и материальной культуры им. акад. Н. Я. Марра

Я. ЛОРТКИПАНИДЗЕ

НИЖНЯЯ КАРТЛИЯ

В ПЕРВОЙ ЧЕТВЕРТИ XVIII СТОЛЕТИЯ

Части III и IV

СТАТИСТИКА НАСЕЛЕНИЯ И ВЛАДЕНИЙ

ИЗДАТЕЛЬСТВО ГРУЗИНСКОГО ФИЛИАЛА АКАДЕМИИ НАУК СССР

Тбилиси.

1938

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართვე. ფილიალის
ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. მარის სახ.

იან. ლორთქიფანიძე

ქ ვ ე მ რ ქ ა რ თ ლ ი

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში

ნაწილი III და IV

მოსახლეობის და მფლობელობის სტატისტიკა

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა

ბ ი ლ ი ს ი

1 9 3 8

მოვალეობად ვთვლი, უღრმესი მადლობა მოვახსენო
პროფ. ალ. ბარამიძეს მასალების ძებნასა და შე-
კრებაში დახმარებისათვის და დოც. ნ. ბერძენი-
შვილს, რომლის მითითებებით და შენიშვნებით მე
უხვად ვსარგებლობდი.

ბ. ლ.

ნაწილი მეორე

X. მოსახლეობის სტატისტიკა.

§ 72. ამ შრომის პირველ ორ ნაწილში განხილულია ის წყაროები, რომლებიც საფუძვლად უდევს მთელ შრომას და იქიდან ამოკრეფილია გეოგრაფიულ სტატისტიკური ცნობები ქვემო-ქართლის მხარეებისა, ცალკე სოფლებისა და სხვა დასახლებულ ადგილებისა მე-XVIII საუკ. პირველი მეოთხედის მოსახლეობის და მფლობელობის შესახებ. ახლა შევეცდებით ერთგვარ სისტემაში მოვიყვანოთ ეს ცნობები, რომ ამით უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ამ საკითხების რაობა.

ჩვენ მიერ განხილული საბუთების გეოგრაფიულ-სტატისტიკური ცნობები შეეხება ქვემო ქართლის: 1) მეწინავე დროშის ტერიტორიას და 2) ამ ტერიტორიის გარეშე მდებარე დანარჩენ მხარეებს.

მეწინავე დროშის ტერიტორია ამ ცნობების მიხედვით იყოფა: 1) 1721 წლ. აღწერის რაიონად და 2) ამ რაიონის გარეშე მდებარე მხარეებად.

1721 წლ. აღწერის რაიონის შესახებ ცნობები: 1) უმეტესი ნაწილი მოთავსებულია თვით აღწერაში, 2) უმცირესი ნაწილი კი სხვა საბუთებში (სიგელ-გუჯრები, ვახუშტის გეოგრაფია, მისი სოფლების სია, რუკა):

1721 წლ. აღწერის რაიონის გარეშე მდებარე მეწინავე დროშის (ყაიყული, ელის ტერიტორია) მხარეების ცნობები მოთავსებულია უმთავრესად დასტურლამალში, მცირეოდენი — სიგელ-გუჯრებში და ვახუშტის ზემოთ მოხსენებულ ნაშრომებში.

მეწინავე დროშის ტერიტორიის გარეშე მდებარე ქვ.-ქართლის მხარეების შესახებ ცნობები მოიპოვება მხოლოდ ვახუშტის გეოგრაფიაში და რუკაზე.

ამრიგად ჩვენ შემდეგი გეგმა გვაქვს ქვემო-ქართლის გეოგრაფიულ სტატისტიკური ცნობების დასალაგებლად:

A. მეწინავე დროშის ტერიტორია

I. 1721 წლ. აღწერის რაიონი.

ა) 1721 წლ. აღწერაში შეტანილი სოფლები და სხვა დასახლებული ადგილები.

ბ) 1721 წლ. აღწერიდან გამოტოვებული სოფლები და სხვა დასახლებული ადგილები.

II. 1721 წლ. აღწერის რაიონის გარეშე მეწინავე დროშის მხარეები:

- 1) ყაიყული
- 2) ელის ტერიტორია.

B. ქვ.-ქართლის მხარეები მეწინავე დროშის ტერიტორიის გარეშე:

- 1) ბანბაკი, ბერდუჯი.
- 2) ლორე.

§ 73. A. მეწინავე დროშის ტერიტორია

I. 1721 წლ. აღწერის რაიონი.

ა) 1721 წლ. აღწერაში შეტანილი სოფლები და სხვა დასახლებული ადგილები.

როგორც არა ერთხელ იყო ნათქვამი, მოსახლეობის და მფლობელობის გამოსანგარიშებლად უმთავრეს წყაროდ უნდა მიჩნეულ იქნეს 1721 წლ. მეწინავე დროშის აღწერა. მის დეფექტებზე უკვე გვქონდა ლაპარაკი პირველი ნაწილის §§ 10 და 23-ში. ქვ.-ქართლის მხარეებიდან შიგ არ არის სრულიად სხვა და სხვა მიზეზების გამო შეტანილი ყაიყული, ბანბაკი, ბერდუჯი, ტაშირის ნაწილი—ლორის რაიონი და ელის ტერიტორია. გარდა ამისა ქვ.-ქართლის 1721 წლ. აღწერაში არა ყველა სოფლები სჩანს იქ და ის სოფლებიც, რომლებიც აღნიშნულია აღწერაში, საესებით წარმოდგენილი არ არიან.

1721 წლ. აღწერის ცნობებს ჩვენ ვანაწილებთ ქვემო-ქართლის იმ მხარეებზე, რომლებიც გამორკვეული არიან § 39-ში და რომლებიც აღნიშნული არიან ვახუშტის გეოგრაფიასა და სხვა წყაროებში; სახელდობრ ამგვარ მხარეებად ითვლებოდენ: ალგეთი, დბანისის ხეობა, თრიალეთი, მტკვრის ვალმა მხარე, სკვირეთი, სომხითი, ტაშირი, ქციის ხეობა, ყარაბულაღი. ამას უნდა მიეუმატათ კიდევ ერთი განყოფილება იმ სოფლებისათვის, რომლის შესახებ არ არის გამორკვეული, რომელ მხარეში მდებარეობდენ იგინი (იხ. §§ 52—59).

მაგრამ სანამ ამ დანაწილებას მოეხდენდეთ საჭიროა შევიტანოთ ზოგიერთი შესწორებანი თვით 1721 წლ. აღწერაში.

1721 წლ. აღწერიდან (§ 33) მეწინავე დროშის რაიონში ითვლებოდა 130 დამოკიდებული უყმო აზნაური, 4638 გამომღები ყმა, 5749 იმათი „თავი“, 1210 ბოგანო ყმა, მათ შორის 461 „მოლაშქრე“, 548 აყრილი და 49 ამოწყვეტილი ყმა. გარდა ამისა, როგორც შემდეგ დავინახავთ, აღწერაში მოხსენებულია 295 მებატონე (§ 132), 70 დამოუკიდებელი უყმო აზნაური (§ 77), 546 ბინადარი სოფელი (§ 74), 195 მემამულე (§ 79), 8 აყრილი და 18 ნაოხარი სოფელი (§ 74). სტატისტიკური ცნობების შესაჯვრებლად საჭიროა ყველა ამ ნაწილების დაწვრილებითი განხილვა. დავიწყით სოფლებიდან.

I) სოფლები.

§ 74. მეწინავე დროშის რაიონში ითვლებოდა შემდეგი სოფლები:

ნ. №	მხარეები	სოფლები			სულ ბინადარი და აყრილი სოფლები
		ბინადარი	აყრილი	ნაოხარი	
83	ალგეთში	85	—	—	85
84	დბანისში	108	2	4	110
85	თრიალეთში	58	—	—	58

№	მხარეები	სოფლები			სულ ბინადარი და აყრილი სოფლები
		ბინადარი	აყრილი	ნაოხარი	
86	მტკვრის ვაღმა	6	—	—	6
87	სკვირეთში	12	—	—	12
88	სომხითში	104	—	—	104
89	ტაშირში	49	2	12	51
90	ქციაში	65	1	—	66
91	ყარაბულალში	40	—	1	40
92	გამოურკვე მხარე	19	3	1	22
	სულ .	546	8	18	554

აყრილი სოფლები ჩვენ მიერ ჩარეცხულია ფაქტიურ სოფლების რიცხვში, რადგან მაშინდელი კანონის ძალით (იხ. ვახტ. მეფის სამართლის წიგნი, მუხლი 199), რომელსაც ხელისუფლებაც მეტად უჭერდა მხარს (იხ. სიგ. 1732/5, 1771, 1779 წლ. სიგელები სიძვ. III №№ 441, 442, 185, 524), მემატონეს შეეძლო მის ნებადართევლად გადასახლებული ყმები აეყარა და თავის ადგილზე დაებრუნებინა. აყრილები რომ საზოგადოდ ითვლებოდა ფაქტიურ მოსახლეობის რიცხვში, იმითაც მტკიცდება, რომ ამილღაბარ გოსტაშაბაშვილს გაყრის დროს (იხ. 1713 წ. სიგ.—სიძვ. I—303) მიეცა საუფროსოდ 12 აყრილ საკომლოში ავგდანეთს ერთი გამომლები ყმა ოღობაშვილი.

რაც შეეხება ნასოფლარ და ნაოხარ სოფლებს, ეტყობა, ისინი დიდი ხანია ამოვარდნილან და იმათი ვადარჩენილი მოსახლეობის ხელ-ახლად შეკრება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. ესენია: დბანისის ხეობაში: (იხ. § 84) ბოშის სოფელი, სარუჩამას სოფელი, შავი საყდარი, ჭანდარაკი; ტაშირში: (იხ. § 89) ათაქლუა, აჩა სოფლი, ბუზჩაი, თახილბითმაზა, ლაყვარდი, ოთურბულახი, სარუყალა, ქურთ ყალა, ყარაყალა, წარუკა, ხანდახას სოფელი; ყარაბულალში (იხ. § 91): ხიზუას სოფელი; დბანისის და ქციის ხეობებში (იხ. § 94) საჯნიანო; სულ 18 სოფელი.

2) მემატონეების სტატისტიკა.

§ 75. მფლობელობის სტატისტიკის განყოფილებიდან (§ 132) ჩვენ დავინახავთ, რომ მეწინავე დროშის რაიონში 295 მფლობელი მემატონე ყოფილა.

მემატონეების სოციალური მდგომარეობა.

ამ მხრივ მემატონეები შემდეგ სამ ჯგუფს წარმოადგენდნენ:

- I. მეფე და მისი გვარეულობა
- II. ეკლესია-მონასტრები და მათი წარმომადგენლები.

- 1. მეფე
- 1. ბოლნელი
- 2. დედოფალი
- 2. კარის წინამძღვარი

- 3. ბაქარ მეფე
- 4. იესე ბატონიშვილი
- 5. სვიმონ ბატონიშვილი
- 6. ვახუშტი ბატონიშვილი
- 7. ხოსროხანიშვილი
- 8. ქირმანის ხანი
- 3. ნათლის მცემელი
- 4. მანგლელი
- 5. ტფილელი
- 6. ფიტარეთის წინამძღვარი *)
- 7. წალკელი

კერძო პირები 280.

კერძო მფლობელ მებატონეების დანაწილება სოციალური მდგომარეობის მიხედვით (თავადები, აზნაურები და სხვა) მეტად რთული საკითხია, ცალკე გამოკვლევას მოითხოვს და ამიტომ ამ ხანად იგი არ შეგვისჩრულება.

მეფე და მისი გვარეულობა შეადგენდა ყველა მებატონეების 30% ეკლესია-მონასტრები და მათი წარმომადგენელი 20%-ს, კერძო პირები 95%.

მეწინავე დროში რაიონში მცხოვრებ მკვიდრ მებატონეების რაოდენობის გამოსაანგარიშებლად საჭიროა შემდეგი შესწორებანი. შევიტანოთ ამ ცნობებში.

პირველ ყოვლისა უნდა გამოაკლდეს ისინი, რომლებიც ქვ.-ქართლის მკვიდრ მებატონეებად ვერ ჩაითვლებიან და რომელთაც, შეუძლებელია, ეცხოვრათ კერძოდ მეწინავე დროში რაიონში და საზოგადოთ ქვემო-ქართლში ესენი არიან: სამეფო გვარი, ის მებატონენი, რომელთაც საგვარეულო მამულები ქონდათ ქვ.-ქართლის გარეშე და ზოგიერთი ეკლესიის წარმომადგენელი პირნი. დანამდვილებით აღნიშვნა ყველა ამ პირებისა ჯერ-ჯერობით არ შეიძლება. მაგ. ძნელია იმის გადაწყვეტა, სულეიჰანიშვილი ომანი უბრალო კერძო მებატონეა, თუ იგი შეიღია სულეიჰანისა, ვახტანგ V-ის შვილისა, რომელიც იხსენიება ჩვენის ისტორიაში (გვ. 2) და 1678 წლ. ჯუჯარში (ისტ. საბ. IV გვ. 59).

აგრეთვე ძნელია იმის გამორკვევა, მუსხელაშვილები, შალიკაშვილები და სხვა მრავალი ქვ.-ქართლის მკვიდრი მებატონენი იყვნენ და იქ ცხოვრობდნენ თუ არა. ქვემოთ მოყვანილ სიაში ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ ისეთ მებატონეებს, რომლებიც იჭვს არ იწვევენ, რომ ისინი ცხოვრობდნენ ქვემო-ქართლის გარეშე.

I. მეფე და მისი გვარეულობა (იხ. სია მებატონეებისა § 132):

- 148—მეფე
- 65—დედოფალი
- 33—ბაქარ მეფე
- 133—იესე ბატონიშვილი
- 70—ვახუშტი ბატონიშვილი
- 186—სვიმონ ბატონიშვილი
- 217—ქირმანის ხანი
- 293—ხოსროხანიშვილი—შ.

*) ფიტარეთის წინამძღვარი, როგორც კამარეთში ნასკიდი ყმების პატრონი, მებატონედ ჩავთვალეთ და, როგორც ფიტარეთში საყაფლანიშვილთს ყმების პატრონი, მკვამლეად.

II. ეკლესია — წარმომადგენელი.

198—ტფილელი

136—კარის წინამძღვარი—2.

III. კერძო პირები

8—ავალიშვილი როსტომ (ხეობა—სიძე. II—190/1634)

48—54 გლურჯიძეები (საციციანო—სიძე. III—272, 273, 1800)

89.90 თარხნიშვილები (სათარხნო—სიძე. III — $\frac{272}{1799}$, $\frac{273}{1800}$)

290—292 ხერხეულიძეები—(ზემო-ქართლი—სიძე. I—261/1796)

164—172 სააკაძეები (საციციანო—სიძე.—II—49/1643)

13. ამილახორი (ზემო ქართლის მემატონე)

272—288 ციციშვილები (საციციანო — სიძე. III — $\frac{272}{1799}$, $\frac{273}{1800}$)

104—113 თუმანიშვილები (ზემო-ქართლი — სიძე. III — 571/1653/8)

271 ჩხეიძე სეხნია — (მოლარეთხუცესი).

სულ გარეშე მემატონეები—61.

უნდა გამოაკლდეს სიას № 12 (ორივე აღიხანაშვილი—ზალია და ბეგანი) და № 234 (ყორღანაშვილები ფარსადან, ედიშერ და ქაიხოსრო), რადგან იგინი ყველა ცალ-ცალკე მოხსენებული არიან №№ 10, 11, 239, 240, 246-ში.

სულ აკლდება მემატონეები—63.

მეორეს მხრით ზოგიერთი მფლობელობა (იხ. სია § 132) ნაჩვენებია, ორი ან მეტი მემატონეებით. აქ საჭიროა შესაფერი შესწორება შევიტანოთ:

ალგეთში—სიით 31 ბარათაშვილები 2, ემატება 1.

დბანისის ხეობაში—სიით 134 იოთაშაშვილები 2, ემატება 1.

ყარაბულალში—სიით 5 აბულაშვილები 2, ემატება 1.

სკვრეთში—სიით 157 ნმანგლელევიშვილები 2, ემატება 1.

სომხითში—სიით 60 ეშადაშვილები 4, ემატება 3.

სომხითში—სიით 149 შირზაშვილები 4, ემატება 3.

სომხითში—სიით 262 შანშიაშვილები ბაპა და ახვერდა 2, ემატება 1.

ზოგიერთი მფლობელობა ნაჩვენებია მემატონეების მრავლობითი რიცხვით. ჭუმბუტბო მინიმალურ რაოდენობას:

სომხითში: სიით 7 აღიბეგაშვილები, ემატება 1.

„269 შანშიაშვილები: ბაპიაშვილები, დოღმაზაშვილები, ნაზარა ემატება 4*.

146 მელიქიშვილები პაპუნა და მისი ძმები ემატება 2, სულ ამ ჯგუფით ემატება 18. მეწინავე დროშის მკვიდრ მემატონეთა რიცხვი 1721 წლ. აღწ. რჩება 250: (295—63 + 18), მაგრამ ამ შესწორების შემდეგაც 1721 წლ. აღწერა ნამდვილსურათს მაინც არ იძლევა, რადგან მასში მეტად ბევრი მემატონეა გამოტოვებული. ეს რასაკვირველია აიხსნება იმით, რომ აღწერას მიზნით არ ჰქონია მემატონეების აღნუსხვა და იმითაც, რომ აღწერაში, როგორც ეტყობა, მხოლოდ მოთავე კაცები იყო ნაჩვენები, და არა გვარის ყველა წევრი. ეს ცხადად სჩანს, მაგ. გერმანოზიშვილების და გოსტაშაბაშვილების გვარზე. აღწერაში გერმანოზიშვილების გვარს შეადგენენ დათუნა, ითარი და ლუარსაბი, ესენი არიან დათუ-

ნა-პაატას შვილის გუგუუნას შვილი, ოთარი — პაატას შვილის იესეს შვილი, ლუარსაბი — პაატას ძმის ვარაზას შვილი. მე-XVIII საუკ. პირველ მეოთხედში კი გარდა ამ პირებისა იხსენიებიან: პაატა — გუგუუნას შვილი, დათუნას ძმა 1727-1729 წ. (სიძვ. II — 305, 291), გერმანოზ იესეს შვილი, ოთარის ძმა. 1732, 1735 წლ. (იქვე 78, 385) და სხვა. ვოსტაშაბაშვილების გვარი აღწერაში წარმოდგენილია მხოლოდ ამილლაბარით. იმავე ხანაში იხსენიებიან: ბეჟანი, ამილლაბარის ძმა 1713, 1747 წლ. (იქვე I — 106, 3921), ქაიხოსრო, ამილლაბარის ბიძაშვილი 1713 — 1732 წლ. (იქვე I — 137, 1481), ვახუშტი და პაპუნა ამილლაბარის ბიძის თამაზის შვილები 1713, 1749 წ. (იქვე I — 137, 148). 8 წლის წინეთ კი 1721 წლ. აღწერამდე ამილლაბარი და მისი ბიძები თამაზი და ყაფარბერგი გაიყარნენ (იხ. 1713 წლ. სიგელი, სიძვ. I — 303) და სხვა. ასევეა ბარათაშვილების, ზაზუნაშვილების, ქავთარაშვილების და ზოგიერთ სხვა გვართა შესახებაც. ასე რომ, მებატონეების რაოდენობა ბევრათ მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე 1721 წლ. აღწერაშია ნაჩვენები. მაგრამ ჯერჯერობით მებატონეების რიცხვის თუნდაც დაახლოებით აღდგენა გამოქვეყნებულ სიგელ გუჯრების ცნობებით შეუძლებელია. მხოლოდ ყაფლანიშვილების შესახებ შეგვიძლია შევიტანოთ შესწორება ისიც დაახლოებითი. 1721 წლ. აღწერაში მოხსენებულია ერთის მხრივ მთლიანი გვარი „ყაფლანიშვილები“ და მეორეს მხრივ ცალკე ყაფლანიშვილები: ყაფლანი, მამუკა, თამაზი, ქაიხოსრო, მანუჩარი, ერასტი, ლუარსაბი, ოთარი, რევაზი, ასლამაზ, ზურაბი და გიორგის შვილები, სულ 13 მფლობელი. ცალკე ჩამოთვლილი ყაფლანიშვილები არიან ისინი, ვისაც „ნასყიდი“ ყმები ყავდათ. გარდა ამისა შიგ გარდაცვალებულებიც ურევია: თამაზი და ლუარსაბი. გიორგის შვილებზედაც არ არის ნათქვამი, რამდენი იყვნენ იგინი და რა სახელი ერქვათ მათ. 1718 წლ. სიგელში კი (სიძვ. III-1771) ჩამოთვლილია, როგორც მთელი „საყაფლანიშვილოს“ მებატონეები ყაფლან ყაფლანიშვილის ოთხივე შვილის შაჰ-მომავალნი:

ასლანბეგის შვილები: ლუარსაბი, ოთარი, მანუჩარი, რევაზი, ასლანბეგის შვილის ქაიხოსროს შვილი ქაიხოსრო.

ვახტანგის შვილები: ერასტი, ყაფლანი, ზურაბი, დემეტრე, ვახტანგის შვილის ვახუშტის შვილი ელიზბარ.

თამაზის შვილები: მამუკა, მზექაბუჯი,

გიორგის შვილები: ზურაბ, გიორგის შვილის გორჯასპის შვილი ქაიხოსრო.

ამათ უნდა მიემატონ იმავე სიგელში მოხსენებული ღონენა და 1721 წლ. აღწერაში ნაჩვენები ასლამაზ, რომელთა წინაპრები ჯერჯერობით გამოურკვეველი არიან, სულ 14 პირი — ემატება 1. განსხვავება მეტად მცირეა, ამიტომ 1721 წლ. აღწერის ცნობებს ვტოვებთ უცვლელად.

1721 წლ. აღწერას უმეტესად ყმების აღწერა ჰქონდა დასახული, ამიტომ მებატონეების და სხვა დანარჩენი ჯგუფების შესახებ ბევრი ცნობებია გამოტოვებული. მაგ. სად, რომელ მხარეში ცხოვრობდნენ მებატონეები. თუ მებატონეს ნაჩვენები ჰყავს ყმები მხოლოდ ერთ მხარეში, უნდა ვივთხისბმოთ, რომ თვით იგი ცხოვრობდა იმავე მხარეში, თუმცა შესაძლებელია, იყო ისეთი შემთხვევა, როცა მებატონეს ან მემამულეს ყმები ჰყავდა ერთ მხარეში, თვითონ კი

ცხოვრობდა მეორე მხარეში*. საზოგადოთ კი უნდა მივიღოთ ზემოხსენებულ დებულება.

რაც შეეხება იმ მებატონეებს, რომლებსაც ყმები ჰყავდათ რამდენიმე მხარეში, იმათი საცხოვრებელი მხარის გამოკვლევა შეიძლება მხოლოდ დაახლოებით. ამგვარი გამოკვლევა შეიძლება მოხდეს ან იმის მიხედვით, თუ მებატონეს, რომელ მხარეში ჰყავდა მეტი ყმები, ან და იმის მიხედვით რომელ მხარეში მოელ მის გვარს ჰყავდათ ყმები, ე. ი. სად იყო მისი საგვარეულო მამული. ჩვენ ავირჩიეთ პირველი სისტემა და შესწორებანი შევიტანეთ მეორე სისტემის მიხედვით.

მებატონეები რომელთაც მხოლოდ ერთ მხარეში ყავდათ ყმები და, საფიქრებელია, ისინიც სცხოვრობდნენ იმავე მხარეში:

აღგეთში:

ზუბიტაშვილი (იხ. სია § 132)—87, თაყაიშვილი ვახტანგი—92, თულაშვილები: სვიმონაშვილი, ნაჯროზა — 96, 102, იევანგულაშვილი — 132, სოლოლაშვილები: შიომ, გიორგი, ზურაბ, ასლამაზ, იოთამ — 187, 190 — 192, 195, უსუფბეგაშვილი — 203, ყორღანაშვილები: თამაზა, კვესია, ფარემუზა, როინაშვილი, ფარსადან, ედიშერი, როინაშვილი თამაზა, როინაშვილი, გოდერძა, ზაალი, პაპის ყმა, ქაიხოსრო, ფრიდონა — 236 — 246, 248, სულ 23.

დბანისში:

ქანანაშვილები: ფარემუზ, ალათანგი, ზურაბი, ფარემუზა (მეორე), როინა — 212 — 216, სულ 5.

მტკვრის ვალმა — ნათლის მცემელი — 155, სულ 1.

თარიალეთში: ბატონის რძალი — 32, გარაყანიძე — 41, მუსხელიშვილი ავთანდილ — 150, შანშიაშვილი — 256, შანშიაშვილი ზაალ — 257, წალკელი — 289, სულ 6.

სკვირეთში:

თულაშვილი ტარიელ — 97, რევიშვილი გიორგი — 162, სულ 2.

ხომსითში:

ადიბეგაშვილები—7, აღიხანაშვილები: ზალია, ბეჟან—10, 11, აღნიაშვილები: ალავერდა, შერმაზანა, შალვა — 28, 29, 30. ბოლნელი — 39, გარსევანიშვილი გიორგი — 42, გურჯი რევაზიშვილები: რევაზ, ლუარსაბ — 58, 59, დავითი — 60, დავითაშვილები: ელიზბარ, კონსტანტინე — 61, 62, დალალაშვილები: ენუქა, ელიზბარ—63, 64, დურმიშხანი—68, ეშალაშვილები: შანაზარა, ბაინდურა, არაზა და ფარსადანა — 69, ველაშვილები: ფარემუზ, ავთანდილ, პაპუნა, ზალია, მელქუა — 71 — 75, ზავრაშვილები: ბეჟან, იოთამ, ზურაბა, მათარასა, ნასყიდა, ალავერდა, გიორგი — 77 — 83, თუშმლიშვილები: გიორგი, გოდერძა — 121, 122, იევულაშვილები: დათუნა, დურმიშხან, გოდერძა, კახუა. ოთარი — 127 — 131, კორკოტა — 137, მანთაშაშვილები: როსტომ, შალვა, — 141, 142, მგალობლიშვილი — 143, მელიქიშვილები: ლევან, რევაზ, პაპუნა ძმებით—

* მეცამეტე ფრიდონა საზღოთხუცესს ყმები ჰყავდა ქციის სოფ. წობას, თვითონ კი ცხოვრობდა დბანისში (იხ. აღწ. გვ. 60).

144 — 146, შირაზაშვილები: ეჯიბი, რევაზი, იესე და გორჯასპი — 149, ნაზირი, იოსეფა — 154, ნასრიაშვილები: გიორგი, ბეჟანი — 157, 158, ნეფისაშვილი — 159, ომანი — 161, საღუხა — 184, სუნბატა — 197, ურდუბეგაშვილი — 199, ურქმაზაშვილები: ურქმაზა, დოღმაზა, ფარემუზა — 200 — 202, შალიკაშვილები: ზურაბა, ზაალი, ჯავანშირი, ზურაბიშვილი ანდრია, როსტომ — 249 — 251, 253, 254, შანაზარაშვილი — 255, შანშიან მარტიროზაშვილი ბევთაბეგა — 258, შანშიაშვილები: ქაიხოსრო, გიორგი, მიქელა, პაპა და ახვერდა, როსტომ, ნაზარა — 259 — 264, შანშიაშვილები: პაპიაშვილები, დოღმაზაშვილები და ნაზარა — 265. შაყულიშვილები: ალავერდა, ფრიდონა — 266, 267; სულ 71.

ქციაში:

არუმიშვილები: დუშია, საღმანანა, ბიძინა, მანუჩარ, შამშია, გიორგი, ბეჟუა, ამზა, ჩალაბა, უთრუთა, სარქისა, დუშია (მეორე), თამაზა — 14 — 26, ბურდიაშვილი 40, მუსხელაშვილები: იესე, დემეტრე — 151, 152, ფიტარეთის წინამძღვარი — 204, ქანანაშვილები: სუნბატა, ფარსადან, სარნოშვილი 209 — 211, ყარჩიხაშვილი — 220, შერმაზანაშვილები: ზაალ, ხოსიტა 268—269, ხოჯაშვილები: ავთანდილ, სულხან — 294, 295, სულ 25.

ყარაბუღლადში:

აბულაშვილები: ღვთისია, რევაზ, ბარათა და გიორგი — 3—5, ლარაძე პაატა — 138, სულ 4.

მებატონეები, რომელთაც რამდენიმე მხარეში ჰყავდათ ყმები და რომელთაც ცხოვრებელი მხარე მიღებულია ჩვენ მიერ იმის მიხედვით, სად, რომელ მხარეში ჰყავდათ უფრო მეტი ყმები, ზოგიერთ შემთხვევაში კი, სადაც ამგვარი განსხვავება თვალსაჩინო არაა, იმის მიხედვით, რომელ მხარეში იყო მათი საგვარეულო მამული:

აღკეთში — 42

- | | |
|----------------------------------|-----------------------------------|
| 1. აბაშიშვილი დავით | 91. თაყაიშვილი ქაიხოსრო |
| 27. აფხაზიშვილი | 93. „ გიორგი |
| 31. ბარათაშვილები საამ და ედიშერ | 94. „ დემეტრე |
| 43. გერმანოზიშვილი დათუნა | 95. თულაშვილი დონდარაშვილი ზურაბი |
| 44. „ „ოთარი | 98. „ ასლანი |
| 45. „ „ლუარსაბი | 99. „ იესე |
| 55. გოსტაშაბაშვილი ამილღაბარ | 100. „ გიუნა |
| 57. გურიელი პაატა | 101. „ ლუარსაბი |
| 84. ზაზუნაშვილი ზაალ | 103. „ ზაზა |
| 85. „ ბეჟანი | 135. კანჭაშვილი თომა |
| 85. „ გიორგი | 140. მანგლელი |

147. შერაბიშვილი ლუარსაბ	181.	"	ქაიხოსრო
160. ნოდარ სუფრაჯი	182.	"	ინდოშვილი
173. საგინაშვილი ფარემეზაშვილი ბეჟან	183.	"	როსტომ
174. " ბეჟან	185.	"	საჩინოშვილი ფარსადან
175. " პაპუა	188.	"	სოლოლაშვილი ყათარა
176. " პატა	189.	"	იესე
177. " დურმიშხანი	193.	"	ქაიხოსრო
178. " დათუნა	194.	"	აგიაინდილ
179. " ზურაბიშვილი	235.	"	ყორღანაშვილი თაყა
180. " იოსაფათი	247.	"	ტარიელ

დბანისში—23.

6. აბულფათიშვილი ბეჟან	223.	"	მამუკა
66. დოლენჯიშვილი ზაალი	224.	"	ქაიხოსრო
67. " იოთამ	225.	"	ზურაბი
76. ზაალიშვილი პატარა ზურაბი	226.	"	ერასტი
88. ზურაბიშვილი ბეჟანი	227.	"	ლუარსაბი
123. იარალაშვილი როსებ	228.	"	ოთარი
125. " ვახტანგი	229.	"	რევაზი
126. " თეიმურაზ	230.	"	ასლამაზ
134. იოთამისშვილები ორბელი და გივი	231.	"	თამაზ
	232.	"	მანუჩარი
221. ყაფლანიშვილები	233.	"	გიორგისშვილები
222. ყაფლაშვილი ყაფლანი*	270.	"	შერმაღინაშვილი ბეჟან

თრიალეთში—9.

56. გოჩაშვილი	118.	"	სენხია
114. თურქისტანიშვილი თურქისტან	119.	"	ფრანგისტან.
115. " ზაზა	120.	"	თურქისტანაშვილი გოდერძა
116. " ქაიხოსრო	196.	"	სულეიმანიშვილი ომან.
117. " ლონენა			

შტკერის ვალმა—1.

46. გილაქიშვილი ნიკოლოზ

სკვირეთში—2.

156. ნამანგლელევიშვილები	163. რევიშვილი სვიმონ
--------------------------	-----------------------

*) ყველა ამ 12 ყაფლანიშვილებს, გარდა საერთო მამულისა, ვადვალთ საკუთარი ყმებო. სხვა მხარეებშიდაც. 1721 წ. ლუარსაბი და თამაზი უკვე გარდაცვლილი ყოფილან (იხ. ლექსიკონი—საძიებელი).

სომხეთში—1

252. შალიკაშვილი ნაზირი ედიშერი

ტაშირში—1.

153. მუშა მუსტოფა

ქციაში—19

- 34. ბეგაშვილი ბარათა
- 35. " როსებ
- 36. " ოტია
- 37. " მჭაუნა
- 38. " ლომკაცი
- 47. გილაქიშვილი ბეჟანი
- 205. ქავთარაშვილი გიორგი
- 206. " მანუჩარ
- 207. " სულხან
- 208. " იონათამ
- 218. ყარაბუღაძევილი გიორგი
- 219. " თამაზა

ყარაბუღაღში—4

- 2. აბულაშვილი გივი
- 9. ავთანდილ სუფრაჯი
- 124. იარალაშვილი გიორგი
- 139. ლარაძე ზურაბ

საბოლოოდ მეწინავე დროშის შემკვიდრე მებატონეების რაოდენობა 1721 წლ. აღწერის მიხედვით შემდეგი გამოდის: (295—63) 232:

	იყო	ემ-ტება	რჩება
აღგეთში	65	1	66
დბანისში	28	1	29
თრიალეთში	15	—	15
მტკვრის გაღმა	2	—	2
სკვირეთში	4	1	5
სომხეთში	72	14	86
ტაშირში	1	—	1
ქციაში	37	—	37
ყარაბუღაღში	8	1	9
სულ	232	18	250

8) დამოუკიდებელი უყმო აზნაურები.

§ 77. მებატონეთა რიცხვში ჩარიცხულ უნდა იქნენ თავისუფალი (მებატონეებისაგან დამოუკიდებელი) უყმო აზნაურები, მხოლოდ აიოწყვეტილი ყმების მებატონენი და ის მებატონეები, რომელთაც აღწერაში ყმები არ უზისთ. ესენი არიან (იხ. მფლობელობის ძირითადი ცხრილები):

სტატუსი:

1. თულაშვილი ბახუტაშვილი გივი—ამოწყვ. ყმ. (სოფ. ზრბითი).
 14. ყორღანაშვილები—უყმო (ციხია)
 3. შაიკაშვილები—უყმო (ციხია)
- $\frac{1}{19}$ ხერხულიძე ხოსანაშვილი—ამოწყვ. ყმ. (დიდება).

დბანისში:

7. ქანანაშვილები—უყმო (ჯავშანიანი).

თრიალეთში:

1. შანშიაშვილი ჰაპუა—ცარიელი აღვილი (ხოირეთი)

სკვირეთში:

1. თულაშვილი ბახუტაშვილი—ამომწყვ. ყმა (ღვევი)

სომხითში:

4. აღნიაშვილები—უყმო (ჯანხოში)
4. ელიარაშვილები—უყმო (ჭიმშურა)
1. ეშალაშვილი—ჰაპუა—უყმო (კირაკოზას სოფელი)
9. შანშიაშვილები—უყმო (სახუნდარი)

$\frac{2}{20}$ —შაყულიშვილები—უყმო (ვანჭი)

ქციაში:

20. არეშიშვილები—უყმო (გარის ვარხუნა)

$\frac{4}{24}$ შებაზაშვილები—უყმო (კარაქა).

მხარეების მიხედვით გამოდის სულ 72. ხერხულიძე ხოსანაშვილის გამოკლებით, რადგან იგი გარეშე მებატონეების რიცხვს ეკუთვნის და რადგან თულაშვილი ბახუტაშვილი გივი ორ მხარეშია მოხსენებული, საერთო რიცხვი გამოდის 70. ამ თულაშვილს ალგეთში ყავდა 3 და სკვირეთში 1 ამომწყვეტილი ყმა, ამიტომ ის ჩავრიცხეთ ალგეთის მოსახლეთ.

4) დამოკიდებული უყმო აზნაურები და მხოლოდ ამოწყვეტილი ყმების შემამულენი.

§ 78. 1721 წლ. აღწერით ირიცხებოდა უყმო აზნაურები სამეფო საბარათაშვილოში 39, სადედოფლო საბარათაშვილოში 29, საყაფლანიშვილოში 29, სომხითში 32, სულ 129. ამას უნდა მიემატოს მხოლოდ ამოწყვეტილი ყმების ორი შემამულე: ბეჟუა ხანდამაშვილი და ქაიხოსრო ჩაჩიკაშვილი (იხ. დბანისის ჩინჩხური და ვანი), გამოდის სულ ცალცალკე მხარეებში 131, საერთოდ 130, რადგან აქ მოხსენებულ ქაიხოსრო ჩაჩიკაშვილს, გარდა ამოწყვეტილ ყმებისა დბანისში, ყავდა გამოძღები ყმები ქციაში (იხ. მირტაშენი და მუგუთი).

დაბოკიდებული უცხო აზნაურები შემდეგნაირად არიან აღნიშნული:

გვარი და სახელი	როგორ არიან აღნიშნული	სოფლები	მათი მებატონეები
აღმეთში.			
ხოსია	აზნ.	გალთეთი	ავთანდილ სუფრაჯი
ნაზარა	უცხო აზნ.	"	აბაშიშვილი დავით
არეშიშვილი მანუჩარ	უცხო	დურნუჯი	ქირმანის ხანი.
სადუნაშვილი ბასილა მოლაშქრე	აზნ.	ენაგეთი	გოსტაშაბაშვილი ამილაბარ
დათუნაშვილი ბეჟან	აზნ.	კუმისი	სოლოლაშვილი იესე
იარალაშვილი გიორგი	"	"	"
ამილბოტაშვილი სულ- ხანი	"	"	"
ფასუა	უცხო	"	სოლოლაშვილი ასტამაზ
ხოჯაშვილი ხურაბ	უცხო	მაწვეანი	მეფე
ბეჟუა	აზნ.	მცოვრეთი	გერმანოზაშვილი დათუნა
ავთანდილ	აზნ.	ტაგნაგეთი	სოლოლაშვილი ქაინოსრო
ტურიაშვილი ბეჟან	აზნ.	"	სოლოლაშვილი იესე
ზაალი	აზნ.	ლოლოვნა	ტფილელა
ამისი განაყოფი აბრამა	"	"	"
ამისი განაყოფი ბოგანო პაპუა	"	"	"
იესე მღვდელი	აზნ.	ღაშუბანი	სოლოლაშვილი იესე
ჯიმშიტაშვილი	უცხო	ჩხიკვა	მეფე
გოდერძა მოლაშქრე	უცხო	წავკისი	ციციშვილი სარდლი- შვილი პაპუნა
ავთანდილ (მეორე) მოლაშქრე	უცხო	"	ციციშვილი უთრედა
ვანუშტი მოლაშქრე	"	"	"
სოლთაფიშვილი მოლაშქრე	"	"	"
გოლბაბაშვილი მოლაშქრე	"	"	"
გოგია მოლაშქრე	უცხო	წავკისი	ციციშვილი სარდლი- შვილი ხაზა
მანუჩარ მოლაშქრე	"	"	"

გვარი და სახელი	როგორ არიან აღნიშნული	სოფლები	მათი მუბატონები
ღვანიძეები.			
ახა ბეჟანის ძმა დათუნა	უყმოდ აზნ.	ანდიკა	ყაფლანიშვილი რათარი
ჯანიაშვილი ზურაბი	უყმოდ აზნ.	გულაური	იოთამისშვილები
ჯანიაშვილი ფარსადანა	უყმოდ	"	"
ჯანიაშვილი თამაზ	"	"	"
თაყა	უყმოდ აზნ.	გულაური	შერმადინაშვილი
ლაზარე	უყმოდ	"	"
დავითაშვილი რათია მოლაშქრე	უყმოდ	ღარბაზი	იარალაშვილი რასეძ
რათია მოლაშქრე	"	"	"
ბლარაძელი ბერუკა	აზნ.	დბანისის ციხე	ყაფლანიშვილები
ჯანდიერიშვილი გიორგი	"	თაგუთი	მეჭე
იესე მოლაშქრე	უყმოდ აზნ.	თოფრაყალა	ზურაბიშვილი
მღივინიშვილი გიორგი	აზნ.	კახრეთი და მონასტერი	ზაალიშვილი პატარა ზურაბი
ვაჟყაფარ.	უყმოდ აზნ.	კახრეთი და მონასტერი	ზურაბიშვილი
ბეჟან მოლაშქრე	უყმოდ	კანეთი	ვახუშტი ბატონიშვილი
ყულიაშვილი ბერი მოლაშქრე	უყმოდ	"	ზაალიშვილი პატარა ზურაბი
სენია აყრილი	აზნ.	მიჯა	ყაფლანიშვილები
გოსტამ.	აზნ.	ტანძია	ყაფლანიშვილები
სიმონ მღვდელი.	"	"	"
შაბუზ	"	უშევანი	ყაფლანიშვილი ლუარსაბ
თეიმურაზ	"	"	"
როსტომ.	"	"	"
გურგენ	"	"	"
ქაგარაშვილი აღიხანა	აზნ.	ქაგარიანი	ვახუშტი ბატონიშვილი
ყაითა	უყმოდ	"	"
რათარა მოლაშქრე	"	"	ზაალიშვილი პატარა ზურაბი
ქაგარაშვილი თამაზ რამაზა	"	"	ზურაბიშვილი

გვარი და სახელი	რელიჯიოზური აღნიშნული	სოფლები	მათი მემბრონები
(წაჭრილია დაბეჭდილ ფურცელში)	უცხო	ქაგარიანი	ზურაბიშვილი
ხანდამაშვილი მანთაშა	—	ჩინჩხური	ყაფლანიშვილები
ხანდამაშვილი ასლანა	—	"	"
მაკვარიათი პაპუნა კომლი I, თავი I	ახნ.	წნორი	"
უღელიშვილი დავით, კომლი I, თავი I	"	"	"
მეგრულიშვილი ზურაბ, კომლი I, თავი I	"	"	"
დონდარაშვილი ზაალ	ახნ.	კრეში	იარალაშვილი როსებ
იორამა	უცხო	"	იარალაშვილი თეიმურაზ
დონდარაშვილი	"	"	იარალაშვილი გიორგი
ბელიაშვილი რევაზ	უცხო ახნ.	ჯანაზიანი	ყაფლანიშვილები
ხანდამაშვილი ბეჟუა სპინირეთში.	ამოწყვ. ყმების მემამულე	ჩინჩხური	"
ვახუტში ბუში	უცხო	ვედისი	მეფე
დავითი	"	"	"
არღუთაშვილი ბერუა	"	"	სოლოლაშვილი კაიხოსრო
მანუჩარ	"	"	"
სოგხითში.			
თუმალა	უცხო	ბოეძიძი	შერმაღინაშვილი
პაპუა	"	"	"
ელიზბარ	"	"	"
ავთანდილა	"	ბოლნისი შუა	დედოფალი
ვართანა	"	"	"
პაპა	ახნ.	ბოლნისი შუა	მეფე
ჯანდიერიშვილი	უცხო	ბოლნისი ქვემო	დედოფალი
მელქუა	"	"	"
ფოტემაზა	"	"	"
ამირსეთა	"	"	"

გვარი და სახელი	როგორ არიან აღნიშნული	სოფლები	მათი შებატონებები
შარქარელი	უყმო	ბილნისი ქვემო	დედოფალი
სულუა	"	"	"
დავითა	"	"	"
მანდენა	"	"	"
ფარსადანა	"	"	"
ყადიაშვილი	"	"	"
იელიკაშვილი	"	"	"
არდაშელ	უყმო	გარუჯი დიდი	მელიქიშვილი პაპუნა და ძმები
საამ	"	"	"
იეგანა	ახნ.	გორუმი პატარა	ყაფლანიშვილი სურაბი
ავთანდილ (მეორე)	ახნ.	თეთრი სოფ.	დედოფალი
ჯემშიტაშვილი	უყმო	თუმანაშენი	იესე ბატონიშვილი
აშულიშვილი ბეჟან	უყმო	კატავეთი	ამილახარი
სულხან, მისი განაყოფი	"	"	"
იარალა	"	"	"
ყანაჩხა	"	"	"
ქანანაშვილი გურგენა	უყმო	მხარაღაჯი ქვემო	"
შალილაშვილი დათუა	უყმო	სარკინეთი	იესე ბატონიშვილი
ნანაშვილი დათუა	"	"	"
ნანაშვილი შოშია	"	"	"
რაშახა	"	"	"
ალაჯანაშვილი ნოდარა	უყმო	შათიკას სოფ.	შეფე
გიუა	"	"	"
მუსერაშვილი დავითა	"	"	"
ნესერაშვილი საქუა	"	"	"
ხუციშვილი პაპუა	"	"	"
ჯომარდიძე იესე	ახნ. კომლი 1, თავი 1	შამირხას სოფ.	ყაფლანიშვილი მანუჩარ
ძვირაძე			
ილჯანე	ახნ.	აბანო	ყაფლანიშვილები

გვარი და სახელი	როგორ არიან აღნიშნული	სოფლები	მათი მებატონეები
ქვლიყლაპიაშვილი	ახნ.	აბანო	ყაფლანიშვილები
ნამორაძე ზურაბ	"	აბგლია	გერმანოზიშვილი დათუნა.
სარქისაშვილი პარუნ ალავერდა	"	გარისი	ავთანდილ სუფრაჯი
დათუნა მოლაშქრე	"	დაღეთი დიდი	ცოციშვილი ბაადური- შვილი ხალი
იახთუნაშვილი თამაზა	უყმო	დაღეთი უკანა	ავთანდილ სუფრაჯი
" შერმახანა	"	"	"
იახთუნაშვილი თევდორე	ახნ.	დაღეთი უკანა	აბაშიშვილი დავით
" აბრამა	"	"	"
მამასაბლისი მოლაშქრე	უყმო	გაგესია	მეფე
სარქისა მოლაშქრე	"	"	"
მისი განაყოფი მოლაშქრე	"	"	"
ყულიაშვილი ბალუა	—	ირავა	ბალისშვილი პატარა ზურაბი
მურადა მოლაშქრე	უყმო	"	"
მკერულიშვილი იაკობ	ახნ.	კაპრუკი	ყაფლანიშვილები
" რამაზ	—	"	"
ჩომაბიშვილი ითარ	ახნ.	"	"
ზოსიტა, მისი ძმისწული	ახნ.	"	"
ელიზბარ მისი განაყოფი	ახნ.	"	"
ჩომაბიშვილი იესე	ახნ.	"	"
ბაბუაძე დავით	ახნ.	მძოვრეთი	ბარათაშვილები სამი და დიდიშეთი
ბაკაშვილი დავით	უყმო ახნ.	ორთა შუა	ნამანგლეღვეიშვილები
ბოწიშვილი პეტრე	ახნ.	ქვემო ფოცხვერიანიქ.	ყაფლანიშვილები
ძმის წული ზურაბი	ახნ.	"	"
კარგარეთელი თამაზა	ახნ.	შოშილეთი	ყაფლანიშვილი გრასტი
შარაბულაძე	—	—	—
ბეჟუაშვილი ბერიკა	ახნ.	ზეჟელისტაზი	ავთანდილ სუფრაჯი
მლაისიჯ	უყმო ახნ.	ჩეგაშენი	ყაფლანიშვილი ჩეგაზ

ყველა ეს პირები აღნიშნულია მებატონეთა ყმებს შორის და ხშირად მემამულეების ყმების ჯამის გამოანგარიშების დროს მიღებული არიან მხედველობაში. მაგრამ იბადება საკითხი, რომელ წოდებას ეკუთვნოდნენ ისინი. ამ სიაში აღნიშნული პირები მოხსენებული არიან:

	აღგეუში	დბანისში	სვერეთში	სომხითში	შტაში	ყარაბუღაშში	სულ
უყმო აზნაურებად	1	6	—	—	1	—	8
აზნაურებად	12	14	—	4	16	1	47
უყმოდ	11	14	4	30	5	1	65
ამოწყვ. ყმების მემამულეებად	—	1	—	—	—	—	1
აღუნიშვნელად	—	3	—	3	3	—	9
სულ	24	38	4	37	25	2	130

საზოგადოდ ყმები ჰყავდათ ან მებატონეებს ან მემამულე აზნაურებს, ამიტომ უყმოდ შეიძლება დასახელებული იყოს ან მებატონე, ან მისი აზნაური. ამ სიაში განმარტებას არ თხოვლობენ ამოწყვეტილი ყმის მებატონე და 8 პირი, აღნიშნული „უყმო აზნაურებად“, აგრეთვე 47 პირი, აღნიშნული „აზნაურებად“, რადგან ისინი მოქცეული არიან მებატონეთა ყმებს შორის და თვითონ მათ ყმები არ უზის.


64 „უყმოთა“ შორის ბევრს ისეთი გვარები აქვს, რომლებიც თვით 1721 წ. აღწერითაც ცნობილი არიან, როგორც მებატონე ან მემამულე აზნაურები (არეშიშვილი, ხოჯაშვილი, ჯანიაშვილი, ყულიაშვილი, ხანდამაშვილი, ქანანაშვილი, შალიალაშვილი). გარდა ამისა, არც ერთს მათგანს რაიმე სხვა განმარტება არ აქვს, გარდა „უყმოს“ წოდებისა, მხოლოდ ზოგიერთებს უზის „მოლაშქრე“, მაგრამ ეს ებიტეტი მემამულე აზნაურსაც, უზის, ასე რომ ჯერ ჯერობით არავითარი საფუძველი არ გვაქვს ყველა ეს „უყმო“ პირები აზნაურებად არ ჩავთვალოთ.

9 პირი, რომელთაც არავითარი განმარტება არა აქვთ, არიან დბანისში: ჯანდიერიშვილი გიორგი, ხანდამაშვილები: მანთაშა და ასლანა, სომხითში მუსურაშვილები: დავითა და საქუა, ხუციშვილი პაპუა, ქციაში: იახუთუნაშვილი შერმახანა, მკერელიშვილი რამაზ, ყულიაშვილი ზალუა.

აქედან ხანდამაშვილები, იახუთუნაშვილები, მკერელიშვილები, ყულიაშვილები იმავე აღწერით აზნაურებად იხსენიებიან, ჯანდიერიშვილს („მეფის ყმა“) არც „ბოვანო“ უზის და „არც კომლი“ და „თავი“. მუსურაშვილები და ხუციშვილი კი მოთავსებული არიან შათიკას სოფელში მეფის მემამულეების ყმების ბოლოში, მისივე, „უყმო“ აზნაურების შემდეგ. ამიტომ, საფიქრებელია, „უყმო აზნაურები“ იყვნენ.

სულ, მასასადამე, უყმო აზნაურები და მხოლოდ ამოწყვეტილი ყმების მემამულეები გამოდის:

2. იას. ღორთქიფანიძე, — ექვემო-ქართლი“.



ალგეთში — 24.

დბანისში — 38.

სკვირეთში — 4.

სომხითში — 37.

ქციაში — 25.

ყარაბულახში — 2. სულ 130.—

სოციალური მდგომარეობის მიხედვით ყველა ესენი აზნაურებათ უნდა ჩაითვალოს.

ბ) მეშაშულენი:

§ 79. მფლობელობის სტატისტიკაში (§ 134) გამოთვლილია, რომ მეწინავე დროშის რაიონში ითვლებოდა შემამულე:

ალგეთში — 26

დბანისში — 82

თრიალეთში — 5

მტკვრისგალმა — 1

სკვირეთში — 4

სომხითში — 49

ტაშირში — 1

ქციაში — 32

ყარაბულახში — 6

გამოურკვე. მხარ. — 9 სულ 215

ასე არის, თუ ჩვენ ცალკე მხარეების შემამულეების და მათი ყმების რაოდენობას გამოვიანგარიშებთ.

მაგრამ საერთოდ მეწინავე დროშის შემამულეების რაოდენობის გაოსაანგარიშებლად შემდეგი შესწორებანი არის საჭირო:

1. ატოცის და სამების ეკლესიებს ჰყავდათ შეწირული ყმები ორი შემამულისგან:

ატოცისას — ქციაში მანუჩარ ჭავთარაშვილისაგან და ყარაბულახში — დედოფლისაგან, აკლდება ყარაბულახს — 1.

სამებისას — ალგეთში ავთანდილ სუფრაჯისაგან და ბეჟან საგინაშვილი — თარემუხაშვილისაგან, აკლდება ალგეთს — 1.

2. ერთსა იმავე მებატონის ზოგიერთ შემამულეებს ჰყავდათ ყმები რამდენიმე მხარეში. საერთოდ მეწინავე დროშის შემამულე მფლობელთა რაოდენობათათვის ისინი მიღებულ უნდა იქნენ თითოჯერ, ასეთები არიან:

სვიმონ ბატონიშვილის შემამულენი:

რჩეულიშვილი ბეჟან — დბ, თრ.

„ გივი — დბ, თრ

„ გიორგი — დბ, თრ.

ყაფლანიშვილების შემამულენი:

ბუჭყიაშვილი — დბ, ყარ.

გულაიხაშვილი გოდერძა — *) — დბ, ყარ.

დბანელი — დბ, ტშ.

ველუაშვილი უსუფა**) — ქც, ყარ.

*) ყარაბულახის გულაიხაშვილი მივიღეთ გოდერძა გულაიხაშვილათ, რატორც იგი ნაჩვენებია დბანისში.

**) ქციის ველუაშვილი მივიღეთ უსუფა ველუაშვილად, რატორც იგი ნაჩვენებია ყარაბულახში.

ყაითმაზაშვილი ყაითმაზ — დბ, დბ/ქც.

„ რამაზა — დბ, დბ/ქც.

„ გიორგი — დბ, ქც.

„ ზაფრადა — დბ, დბ/ქც.

„ რამაზა (მეორე) — დბ, დბ/ქც.

„ ალთუნაშვილი ბეჟანი — დბ, ყარ.

„ ჩაჩიკაშვილი ზურაბ — ალგ, დბ, ქც.

„ „ ერაჯი — დბ, ქც.

„ „ ნიკოლოზ — დბ, ქც.

„ „ იესე — დბ. ქც. აკლდება სულ 18.

1701/11 წლ. აღწერით ისინი ცხოვრობდნენ:

ჩაჩიკაშვილები ზურაბ და იესე — ქციაში სოფ. მუგუთში, ყაითმაზაშვილები ყაითმაზ, და ბეჟან დბანისში სოფ. ჭრეშში, დბანელი-დბანისში სოფ. დბანისს. გულაიზაშვილი გოდერძა ცხოვრობდა დბანისის სოფ. ბერთაქარში. — იხ. § 34 შენ. 167.

ამიტომ უნდა გამოირიცხონ:

ჩაჩიკაშვილი ზურაბ დბანისიდან და ალგეთიდან

ჩაჩიკაშვილი იესე — დბანისიდან

ყაითმაზაშვილი ყაითმაზ — დბ/ქციიდან

ყაითმაზაშვილი ბეჟან — ყარაბულადიდან

დბანელი — ტაშირიდან.

დანარჩენი ზემოთ ჩამოთვლილი მემამულეების საცხოვრებელი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ იმ მხარეებს, სადაც მათ ყავდათ ყმების უმეტესობა.

ამ საფუძველით უნდა გამოირიცხოს:

ყარაბულადიდან: ბუჭყიაშვილი.

დბანისიდან: ჩაჩიკაშვილები: ერაჯი, ნიკოლოზ, გულაიზაშვილი, გოდერძა.

ქციიდან: ველუაშვილი უსუფა.

თრიალეთიდან: რჩეულაშვილები ბეჟანი, გიორგი და გივი.

დბან-ქციიდან: ყაითმაზაშვილები; რამაზა, გიორგი, ზაფრადა და რამაზა (მეორე).

ქციიდან: ველუაშვილი უსუფა.

ეს მემამულეები რჩებიან:

დბანისში: რჩეულიშვილები ბეჟანი, გივი, გიორგი, ბუჭყიაშვილი, ყაითმაზაშვილები რამაზა, გიორგი, ზურაბა, რამაზა. (მეორე).

ქციაში: ჩაჩიკაშვილები ერაჯი, ნიკოლოზ.

ყარაბულადში: გულაიზაშვილი, ველუაშვილი

აკლდება: ალგეთს — 2, დბანისს — 4, თრიალეთს — 3, ტაშირს — 1, ქციას — 1, ყარაბულადს — 4 და გამოურკვე. მხარ. — 5, სულ 20.

საბოლოოდ შეწინავე დროის მემამულეების რაოდენობა გამოიხატება შემდეგში.

	ი ყ რ	დააკლდა	დარჩა
აღწეთში	26	2	24
დბანისში	82	4	78
თრიალეთში	5	3	2
მტკვრის ვალში	1	—	1
სკვირეთში	4	—	4
სომხითში	49	—	49
ტაშირში	1	1	0
ქციაში	32	1	31
ყარაბულალში	6	4	2
გამოურკვ. მხარ.	9	5	4
	215	20	195

მემამულეების სოციალური მდგომარეობა.

§ 80. მემამულეების დიდი უმეტესობა აზნაურობას ეკუთვნოდა, აღწერაში რამოდენიმე მემამულის წოდება აღნიშნული არაა. რომ აზნაურების გარდა ყმებსაც ჰყავდათ თავისი ყმები, ეს სხვა წყაროებიდანაც ვიცით. მაგრამ 1721წლ. აღწერაშიდაც არის ამისი პირდაპირი შემთხვევები. აღწერის ერთ ადგილას ეს გარემოება ცხადათ სჩანს. დბანისის ხეობაში მუსეფარიანის აღწერილობაში (იხ. გვ. 163) დასახელებულია 6 მემამულე (ორი დორათაშვილი, უჯანაძე, ხადამაშვილი, მლთისია, მოურავი), იქვე ჯამში ნაჩვენებია 2 აზნაური, ამ აღწერიდან სჩანს: 4 ყოფილა არა აზნაური, ე. ი. ღლები. ცხრა ამ ვვარი შემთხვევა აღნიშნულია ჩვენ მიერ 1721 წლ. აღწერის შენიშვნებში. (§ 34, იხ. ქვემოთ).

ყმებად იქ ჩავთვალეთ: დბანისში: ორი ზარასპაშვილი (შენ. 216), ზაქაშვილი (214), ზურაბ ღურგალი (220), ორი თათოზაშვილი (217), ჯანშაშვილი ჯანფაშა (1217), სომხითში: ჯიმშერა (227), ქციაში: ბაზიერაშვილი (151).

აზნაურებად იქ ჩავთვალეთ: ყულიაშვილები სვიმონ და თამაზ (შენ. 47), ჩაჩიკაშვილები (161), ყაითმაზაშვილები (170), ბაგრატიშვილი ზურაბ (173), ავთანდილისშვილები (200), ჩინჩხურელი ხანდამაშვილები (206), თავუთელი ხანდამაშვილები (218), მაჭავარიანი ფარსადან (221), შალიალაშვილი გორჯასპი (289) გულაიზაშვილი გოდერძა (228).

§ 34-დან გამოტოვებულია შემდეგი მემამულენი, რომლებიც ასე უნდა იქნენ ჩათვლილი:

აზნაურებად:

ლორათაშვილები ბიძინა და ზულია (იხ. სია მემამულეებისა § 134 დბანისი — 19, 20, ყარ. 4). მუსაფერიანში 6 მემამულეა, საერთო ჯამში კი ნაჩვენებია 2 აზნაური, ესენი. უნდა იყვნენ ლორათაშვილები, რადგან მათ 31 ყმა ჰყავდათ დბანისში და 5 ყმა ყარაბულალში, დანარჩენი იქ ჩამოთვლილი მემამულეები: ხადამაშვილი, უგანაძე, მღვთისია და მოურავი, რომელთაც მხოლოდ თითო ყმა ყავდათ, ყმებად უნდა იქნენ ჩარიცხული.

ხანდამაშვილები ბერუა, რევაზა, ოთარი და მამუკა (დბანისის ლორაშენი — 70, 75, 76, 78), რადგან ყველა დანარჩენი ხანდამაშვილები (თავუთელები და ჩინჩურელები) აზნაურებად არიან აღნიშნულნი.

ველუაშვილი (ქცია 11), რადგან იგი იხსენიება აზნაურად ყარაბულალში (6).

ღიარაშვილები (ალგეთში 4 — 8) რადგან ისინი დასტურმალთ (თავი სკბ) ითვლებოდნენ აზნაურებად.

იანდარაშვილი გივი (გიორგი იარალაშვილის მემამულე), რადგან 4741 წლ. სიგელით (სიძვ. I — 362) იხსენიება როსების შვილის იარალის აზნაური იანდარაშვილი დავით.

დანარჩენი მემამულეების განაწილება დაახლოებით და ისიც ხელოვნურად ასე შეიძლება მხოლოდ: აზნაურებად მივიღოთ ისინი, ვისაც 1 კომლზე მეტი ყმა ყავდა და ყმებად ისინი, ვისაც მხოლოდ ერთი კომლი ყავდა. ვიმეორებთ, ამგვარი განაწილება მეტად ხელოვნურია, მაგრამ სხვა საზომის უქონლობა გვაიძულებს ამაზედ შეგვირდეთ. მაშასადამე აზნაურებად უნდა იქნენ მიჩნეული: დბანისში ბუჭკიაშვილი (სია § 134, ყარ. 2), თავდიდიშვილი (დბ—26), იმერელი ბეჟანი (30), სომხითში: ბეჟანი (5), ალავერდა მამასახლისი (3), ასლამაზა მამასახლისი (4), მანთაშაშვილი (26), ფანეზაშვილი (37), რევაზა მამასახლისი (33), ქციაში იოსები (6).

ყმებად უნდა ჩარიცხულ იქნენ: ალგეთში: კაცია (3), დბანისში: ხანდამაშვილი (67), უგანაძე (44), მღვთისია (34), მოურავი (33), შერანაშვილი ავთანდილ (57), შიომ ბუში (58), სომხითში: იავანა (20), მამაგულაშვილი (25), პაპუნა მამასახლისი (32), რევაზიშვილი ავთანდილ (34), ქციაში: არტემა (2), ვართანა (10), მოლიშვილი (19), ფრიდონ სახლთუხუცესი (23).

ამრიგად, მემამულე ყმებად შეიძლება ჩარიცხონ:

ალგეთში:

კაცია

დბანისში:

ხარასპაშვილები: თამაზა, შანაზარ

ხაქაშვილი ესტატე

ზურაბ დურგალი

თათოზაშვილები: ლაჩინა, ტარიელ

ჯანშაშვილი ჯანთაშა

ხადამაშვილი ბეჟანი

უგანაძე იორამ

მღვთისია

მოურავი

შერანაშვილი ავთანდილ

შიომ ბუში = 13

სომხითში:

ჯიმშერა
იაგანა
მამაგულაშვილი ზაქარ
პაპუნა მამასახლისი
რევაზიშვილი ავთანდილ — 5

ქციაში:

ბაზიერიშვილი გიორგი
არტემა
ვართანა
მოლიშვილი აბულყა
ფრიდონ სახლთხუცესი — 5

სულ 24

მოსახლეობის გამოსაანგარიშებლად ეს 24 მემამულე უნდა გამოირიცხოს მემამულე აზნაურების რიცხვიდან, რადგან მათი მდგომარეობა უფრო ყმებისას შეეფერება, ვიდრე აზნაურებისას.

ამგვარად, სოციალური მდგომარეობის მიხედვით მემამულეები სამ ჯგუფად განიყოფებოდნენ:

I- ეკლესია-მონასტრები და მათი წარმომადგენლები:

1. წინამძღვარი
2. ატოცის ეკლესია
3. სამების ეკლესია
4. შიო მღვიმის მონასტერი
5. ფიტარეთის მონასტერი
6. დბანელი

II. 24 ყმა მემამულე

III. 165 აზნაური

სულ 195

§ 81. ქვემო ქართლის მკვიდრ მემამულეთა რაოდენობის გამოსაანგარიშებლად საჭიროა გამოირიცხოს მემამულეთა რიცხვიდან (195).

1. სომხითში — ელიარაშვილები (იხ. მემამულ. სია § 134—11), რადგან ყველა ისინი: გოდერძა, დავით და ურქმაზა, დელუყარდაში, ზაალია, სულია ცალ-ცალკე არიან მოხსენებული (იქვე 12 — 16).

2. ალგეთში — სამების ეკლესია, თრიალეთში — შიომღვიმის მონასტერი, ქციაში — ატოცის ეკლესია, რადგან მათი ყმების გამგებლობა უთუოდ ევალეობდა იქაურ მღვდლებს და მრევლებს, რომლებიც უიმისოდაც შეტანილი უნდა იყვნენ აღწერაში. გარდა ამისა ატოციის ეკლესია და შიომღვიმის მონასტერი ქვემო ქართლის გარეშე მდებარეობდნენ.

3) რამოდენიმე მემამულე მრავლობით რიცხვითაა აღნიშნული (იხ. § 134)

ალგეთში — ბერდია და ხინჩლა (2) + ემატება 1

დბანისში — გულაიზაშვილი დავით და მირზა (17) + 1

სკვირეთში — გეთანაშვილები 4(1) + 3

რევიშვილები ბეჟან და ზაალ (3) + 1

სომხითში — ელიარაშვილები დავით და ურქმაზა (14) + 1 = სულ 7.

საბოლოოდ მეწინავე დროშის რაიონის მემამულეთა მოსახლეობის რაოდენობა გამოიხატება შემდეგში:

მხარეები	სიით	აკლდება	გმატ.	რჩება
ალგეთში	24	1	1	24
დბანისში	77	—	1	78
თრიალეთში	2	1	—	1
მტკვრის ჯალმა	1	—	—	1
სკვირეთში	4	—	4	8
სომხითში	49	1	1	49
ტაშირში	—	—	—	—
ქციაში	31	1	—	30
ყარაბულალში	3	—	—	3
გამოურკვ. ჩხარ.	4	—	—	4
სულ	195	4	7	198

ბ) გლეხები:

§ 82. როგორც წინათ აღვნიშნეთ (§ 73), 1721 წლ. აღწერით მეწინავე დროშის რაიონში ითვლებოდა 4638 გამოძღები ყმა, 5749 იმათი „თავი“, 1210 ბოგანო ყმა, 461 იმათი „მოლაშქრე“, 648 აყრილი და 49 ამოწყვეტილი ყმა. აქედან:

	გამომღები		ბოგანო		ამოწყვე.	
	ყმა	თავი	კომლი	მოლაშქრე	აყრილი	ამოწყვეტილი
სამეფო საბარათაშვილოში	1414	1940	432	216	2	2
სადედოფლო საბარათაშვილოში	1063	1224	239	82	6	17
საყაფლანიშვილოში	1107	1375	266	5	628	26
სომხითში	884	1000	244	158	12	4
სამეფო ტაშირში	170	210	29	—	—	—
	4638	5749	1210	461	648	49

ყმების ფაქტიური მოსახლეობა (გამომღებთა, ბოგანოთა და აყრილთა რიცხვი) გამოდის:

- სამეფო საბარათაშვილოში 1848 კომლი
- სადედოფლო „ 1308 „
- საყაფლანიშვილოში „ 2000 „
- სომხითში „ 1140 „
- სამეფო ტაშირში „ 199 სულ 6496 კომლი.

შხედველობაში მისაღები არ არიან მებატონების ის ყმები, რომელთა შესახებ ნათქვამია „არ არი“, ან ადგილი დატოვებულია რაიმეს აღუნიშვნელად, ესენი არიან:

კუმისში (აღვეთი) — დედოფლის გასწვრივ (ცარიელი ადგილი), იხ. აღწ. გვ. 110.

იქვე — შიო სოლოლაშვილის გასწვრივ (ცარიელი ადგილი), იხ. გვ. 149.

ხაირეთში (თრიალეთი) — პაპუა შანშიაშვილის გასწვრივ (ცარიელი ადგილი), იხ. გვ. 158.

ქვემო ნადვალეთში (სომხეთში) — გიორგი თუმელიშვილის გასწვრივ („არ არის“ იხ. გვ. 278.).

ფვარში — დბანისში (ქციაში) — დათუნა გერმანოზიშვილის გასწვრივ (ცარიელი ადგილი, იხ. გვ. 134.

მეწინავე დროშის მოსახლეობას, 1721 წლ. აღწერაში აღნიშნულს, უნდა გამოაკლდეს იმ სოფლების მოსახლეობა, რომლებიც ქვემო-ქართლს არ ეკუთვნოდნ და რომლებზედაც გვქონდა ლაპარაკი § 47-ში. მოგვეავს მათი მოსახლეობის შესახებ ცნობები 1721 წლ. აღწერიდან:

სოფლები	მებატონები	თაყაი- შვილ. გამოც. გვ.	გამომღები		ბოგანო		
			კომლი	თავი	კომლი	მოლა- შქრე	სულ
ბევრეთი		—	4	4	1	—	5
ვახუშტის სიები, დი- ლომის რაიონი № 11	თულაშვილი იესე	85	1	1	—	—	1
	თულაშვილი გიორგი	85	1	1	—	—	1
	თულაშვილი ნაგროზა	85	1	1	—	—	1
	თულაშვილი ლუარსაბ	85	1	1	1	—	2
ლისი		—	28	42	—	—	28
ტფილ. რაიონი № 4	თარხნიშვილი ზაალი	38	4	6	—	—	4
	თარხნიშვილი ლუარსაბ	38	8	12	—	—	8
	თარხნიშვილი მამუკა და ზურაბი	38	16	24	—	—	16
ქარაღი		105	40	54	—	—	40
ძამისხევი № 126	დევლაფალი	—	40	54	—	—	40
წოდორეთი		—	8	9	12	4	20
დილომის რაიონი № 71	თუმანიშვილი გივი	43	3	3	4	2	7
	თუმანიშვილი მანუჩარ	44	2	3	2	—	4
	თუმანიშვილი ქიშვარ	44	—	—	1	—	1
	თუმანიშვილი ბირთველა	44	1	1	3	2	4
	თუმანიშვილი ოთარი	44	2	2	2	—	4
მწყნეთი (წყნეთი)		—	17	27	3	3	20
ტფილ. რაიონი №1	ციციშვილი ნოდარის შვი- ლი ზაზა	28	8	13	2	2	10
	ციციშვილი სახლთხუცესი ედიშერი	29	5	8	1	1	6
	ციციშვილი პაპუაშვილი ზაზა	30	4	6	—	—	4

სულ

— 97 136 16 7 113

ამ მუხლით 1721 წლ. აღწერას აკლდება 113 კომლი.

თუ ყმების ამ რაოდენობას (6496 კომლი) გავანაწილებთ იმ მხარეებზე, რომლებიც ვახუშტის გეოგრაფიაშია აღნიშნული და ჩვენ მიერ მიღებული (§ 39), გამოდის რომ ყმები ყოფილან:

მხარეები	გამომღები		ბოვანო		აყრი- ლი	სულ	ამოწ- ვეტ.
	კომლი	თავი	კომლი	მოლა- შკრე			
ალგეთში	978	1183	274	95	—	1261	10
დბანისში	764	969	224	41	232	1220	22
თრიალეთში	422	586	124	72	—	546	1
მტკვრის გაღმა	69	90	9	9	—	78	—
სკვირეთში	112	132	25	9	—	137	1
სომხითში	940	1081	253	158	44	1237	3
ტაშირში	368	458	69	1	237	674	—
ქციაში	577	724	155	52	18	750	6
ყარაბულაღში	226	293	44	16	67	337	—
გამოურკვე. მხარ.	85	97	17	1	41	143	1
სულ მეწინავე დროში	4541	5613	1194	454	648	6383	49
ქვემო ქართლის გარეშე	97	136	16	7	—	113	—
სულ 1721 წლ. აღწერით	4638	5749	1210	461	648	6496	49

ზემოაღნიშნული ცნობები შემდეგნაირად უნდა შესწორდეს:

I აყრილების რიცხვს უნდა მიემატოს იმათი რაოდენობა, რომელთა შესახებ ნათქვამია „აყრილია“, მხოლოდ არ არის ნაჩვენები იმათი რიცხვი. ესენი არიან:

1. დასახლებულ ადგილებში ცალკე მებატონეების ყმები:

ბელუღეთში (ალგეთში) — ზაალ ზაზუნაშვილის 1 ყმა, რადგან მის სახლისკაცს ბეჟან ზაზუნაშვილს იქ ყავდა 1 ყმა.

ხორეთში (ალგეთში) მანუჩარ გლურჯიძეს 1 ყმა, რადგან ამ სოფელში მებატონე გლურჯიძეების უმეტესობას ყავდა თითო ყმა.

ჯურჯოვარში (სომხითში) — ყაფლანიშვილებს — 4 ყმა, რადგან სომხითის სოფლებში ყაფლანიშვილებს ცოტა ყმები ყავდათ (იხივ, როგორც ეტყობა, არა სამკვიდრო) და ამ სოფლის მეორე მებატონეს აფხაზიშვილს ჰყავდა 5 ყმა.

ამ მუხლით ყმების 1721 წლ. აღწერით გამოანგარიშებულ რაოდენობას ემატება 6 კომლი.

2. აყრილი სოფლების მოსახლეობა, რომელიც, შესაძლებელია, დაახლოებით გამოანგარიშებული იყოს იმ მხარის დასახლებული სოფლების საშუალო მოსახლეობის მიხედვით, სადაც ისინი მდებარეობდნენ (იხ. შემდეგ). ასეთია სოფლები: დბანისის ხეობაში — 2, ტაშირში — 2, ქციის ხეობაში — 1 და გამოურკვეველ მხარეში (დბანის — ტაშირში) — 3.

გვიჩვენებს სოფლების გამოკლებით არსებულ სოფელთა რიცხვი ყოფილ (იხ. წყ. 84, 89, 90): დბანისის ხეობაში—108 სოფელი 1178 კომლის მოსახლეობით, ტაშირში 49 სოფელი 674 კომლის მოსახლეობით, და ქციაში 65 სოფელი 754 კომლის მოსახლეობით, მამასადაძე, თითო სოფელზე მოდის დბანისის ხეობაში 11 კომლი, ტაშირში 14 კომლი და ქციის ხეობაში 11 კომლი, დბანის-ტაშირში § 102 მიხედვით მოდის 12 კომლი. ამ საფუძველზე 1721 წლ. აღწერის ყმების რაოდენობას ჩვენ უნდა მივუმატოთ აყრილი სოფლების მოსახლეობა: დბანისის ხეობაში: წყნეთის და უნდუშის თითოს 11 კომლი, სულ 22, ტაშირში: ფარჩხულუს და ჩახმახლუს თითოს 14 კომლი სულ 28, ქციის ხეობაში: ქციას 11 კომლი და დბანის-ტაშირის: ბაზითალას, სალამალექს და შუმბუენს თითოს 12 კომლი, სულ 36. ამგვარად ემატება სულ 97 კომლი. ყმათა რაოდენობას ცუნდა მივმატოთ ის წვრილი მემამულენი, რომლებიც ჩვენ ჩავრიცხეთ ყმებად (§ 80). სულ იქ ჩათვლილია 24 კომლი, მაგრამ აქედან 9 კომლი თვით 1721 წლ. აღწერაშია ყმად აღნიშნული (იხ. აღწერის შენიშვნები), ამიტომ ახლა ვუმატებთ მხოლოდ შემდეგ 15 ყმა მემამულეს, როგორც გამოძღვებ ყმებს:

გვარები და სახელები	სოფლები	მებატონეები
ალგეთში—1		
კაცია	მარაბდა	გერმანოზიშვილი დათუნა
დბანისში—6		
ხანდამაშვილი ბეჟან	მუსეფარიანი	ყაფლანიშვილები
ჟვანაძე იორამ	"	"
მღვთისია	"	"
მოურავი	"	"
შვრანაშვილი ავთანდილ	ვარძაგარა	"
შიოშ ბუში	აკაურთა	დოღენჯიშვილი ზაალ
სომხითში—4		
იაგანა	სამწვერისი	ბაქარ მეფე
მამაგულაშვილი ხაქარა	"	"
პაპუნა მამასახლისი	"	"
რევაზიშვილი ავთანდილ	ქვ. ბოლნისი	მეფე
ქციაში—4		
არტემა	ანდრია	გერმანოზიშვილი დათუნა
ვართანა	წრაურთა	ყაფლანიშვილები
მოლიშვილი აბულყა	აღბაბაღუ	"
ფრიდონ სახლთხუცესი	წობა	ზაალიშვილი პატარა ხურაბი

ამისდა გვარად 1721 წლ. აღწერის მეწინავე დროშის ყმების რაოდენობა შესწორდა შემდეგნაირად:

	გამომღები		ბოგანო		აყრილ.	სულ	ამოწყვ.
	კომლი	თავი	კომლი	მოლაშქრე			
იყო წგ—24—33—ის მიხედვით:	4638	5749	1210	461	643	6496	49
I. ევატება:							
ცალკე მებატონეების	—	—	—	—	—	—	—
აყრილი ყმები	—	—	—	—	6	6	—
აყრილი სოფლების	—	—	—	—	—	—	—
მოსახლეობა	—	—	—	—	97	97	—
II. აკლდება ყმები — მემამულეები	15	15	—	—	—	15	—
ქვ.-ქართლის გარეშე მოსახლეობა	97	136	16	7	—	113	—
დაჩა	4556	5628	1194	454	751	6501	49

ამ შესწორებათა შემდეგ მივიღებთ მეწინავე დროშის ყმების სტატისტიკას, რომელიც შეტანილია შემდეგ წგ 83—92-ში.

**XI. ქაათლის სამეფოს მეწინავე დროშის მხარეების და სოფლების მოსამლე-
ობის სტატისტიკური ცნობები 1721 წლ. აღწერით.**

სოფლები, მებატონეები და მათი მემამულეები	ფ. თაყაიშვილის გამოკვების გვერდები	დამოკიდებული უკმო ანბნაურები	ც მ ე ბ ი						
			გამომღები		ბოგანო		აჭრელი	სულ მცხოვრები	ამოწყვეტილი
			კომლი	თავი	კომლი	მოლა- შქრე			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
§ 83. ალგეთი									
1. აბრამეთი	—	—	6	8	—	—	—	6	—
შალიკაშვილი ნაზირი ედი- შერი	37	—	1	2	—	—	—	1	—
საჩინოშვილი ფარსადან	75	—	2	3	—	—	—	2	—
უსუფბეგაშვილი ქაიხოსრო	77	—	3	3	—	—	—	3	—
2. აბვდანეთი	—	—	3	5	1	1	—	4	—
გოსტაშაბაშვილი ამილლა- ბარ	53	—	2	3	1	1	—	3	—
* აზნ. იესე	53	—	1	2	—	—	—	1	—
3. აზიკი	—	—	4	6	2	2	—	6	—
გოსტაშაბაშვილი ამილლა- ბარ	55	—	4	6	2	2	—	6	—
4. აგლივი	—	—	7	10	2	2	—	9	—
გოსტაშაბაშვილი ამილლა- ბარ	54	—	7	10	2	2	—	9	—
5. არდისუბანი (შანავაზ ხანი)	—	—	3	3	1	1	—	4	—
* აზნ. ყორღანაშვილი შიოშ	18	—	1	1	—	—	—	2	—
აზნ. ყორღანაშვილი ფრი- დონა	94	—	1	1	—	—	—	1	—
აზნ. ყორღანაშვილი ქაი- ხოსრო	94	—	1	1	—	—	—	1	—
6. ასურეთი	—	—	9	9	2	1	—	11	—
სოლოლაშვილი იესე	140	—	5	5	2	1	—	7	—
სოლოლაშვილი ქაიხოსრო	144	—	4	4	—	—	—	4	—
7. აწუში.	—	—	6	6	3	1	—	9	1
თულაშვილი ასლანი	85	—	—	—	1	1	—	1	—
თულაშვილი იესე	85	—	1	1	1	—	—	2	—
თულაშვილი გიუნა	85	—	1	1	—	—	—	1	—
თულაშვილი ლუარსაბ	86	—	1	1	—	—	—	1	—
თულაშვილი ნავროზა	86	—	2	2	—	—	—	2	—
თულაშვილი ზაზა	87	—	—	—	1	—	—	1	—
თულაშვილი ბახტაშვილი გივი	155	—	—	—	—	—	—	—	1

მემამულეები მოთავსებულია მათი მებატონეების შემდეგ და აღნიშნულია
ცალკე მიწებით (*).

სოფლები, მებატონეები და მათი მემამულეები	ა. თაყაიშვილის განოცვის გვერდები	დამოკიდებული უცხო პანაურები	ყ მ ე ბ ი						
			გამომღები		ბოგანო		აყრილი	სულ მცხოვრებნი	ამოწმებული
			კომლი	თაყი	კომლი	მოლა- შეკე			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
თულაშვილი დონდარაშვი- ლი ზურაბა	155	—	1	1	—	—	—	1	—
8. ახალშენი ენაბეთისა მეფე	—	—	8	8	1	1	—	9	—
გოსტაშაბაშვილი ამილლა- ბარ	6	—	1	1	—	—	—	1	—
	53	—	—	—	1	1	—	1	—
ბარათაშვილები საამი დი ელიშვირი	118	—	1	1	—	—	—	1	—
ქავთარაშვილი მანუჩარ	121	—	3	3	—	—	—	3	—
თაყაშვილი გიორგი	76	—	1	1	—	—	—	1	—
ახნ. ყორღანაშვილი თაყა	93	—	1	1	—	—	—	1	—
შალიკაშვილი ნახირი ედი- შვირი	37	—	1	1	—	—	—	1	—
9. ბაშინჯახანი ამილახორი	—	—	4	4	8	—	—	12	—
	28	—	4	4	8	—	—	12	—
10. ბოგვი	—	—	17	17	8	—	—	25	—
საგინაშვილი პაპუა	150	—	5	5	2	—	—	7	—
საგინაშვილი პაატა	150	—	1	1	1	—	—	2	—
საგინაშვილი ბეჟან	151	—	1	1	—	—	—	1	—
საგინაშვილი დურმიშხან	151	—	5	5	2	—	—	7	—
საგინაშვილი როსტომ	152	—	1	1	1	—	—	2	—
საგინაშვილი ფარემუზა- შვილი ბეჟან	152	—	1	1	—	—	—	1	—
საგინაშვილი ზურაბის- შვილი	153	—	1	1	—	—	—	1	—
საგინაშვილი ქაიხოსრო	154	—	1	1	1	—	—	2	—
საგინაშვილი ინდოშვილი	155	—	1	1	1	—	—	2	—
11. ბორცვის ჯვარი კანჭაშვილი თომა	—	—	3	3	—	—	—	3	—
	139	—	3	3	—	—	—	3	—
12. ბუჟღულეთი ზახუნაშვილი ბეჟან	—	—	1	1	—	—	1	2	—
	125	—	1	1	—	—	—	1	—
ზახუნაშვილი ზაალ	126	—	აყრილი	—	—	—	1	1	—
13. გოლთბეთი აკთანდილ სუფრაჯი	—	2	7	7	2	1	—	9	—
	114	1	—	—	1	1	—	1	—
აბაშიშვილი დავით	116	1	7	7	1	—	—	8	—

სოფლები, მებატონებები და მათი შემამულებები	მ. თაყაიშვილის გამოცემის გვერდები	დამოკიდებული უძემა ანაკურები	მ შ ე ბ ი						
			გამომღები		ბოგანო		აყრილი	სულ მცხოვრებნი	ამოწყვეტილი
			კომლი	თავი	კომლი	მოლა- შეკრე			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
14. გუდარძინი	—	—	6	6	—	—	—	6	—
გერმანოზიშვილი დათუნა	132	—	2	2	—	—	—	2	—
გერმანოზიშვილი ოთარი	135	—	2	2	—	—	—	2	—
გერმანოზიშვილი ვარაზა- შვილი ლუარსაბ	137	—	2	2	—	—	—	2	—
15. გუდელი	—	—	7	7	—	—	2	10	1
სოლოლაშვილი ზურაბ	146	—	4	4	—	—	1	6	1
სოლოლაშვილი გიორგი	147	—	3	3	—	—	1	4	—
16. გუნანეთი	—	—	2	3	—	—	—	2	—
გოსტაშაბაშვილი ამილდა- ბარ	54	—	2	3	—	—	—	2	—
17. დვალთა	—	—	8	11	—	—	—	8	—
თაყაშვილი ვანტანგ	75	—	3	4	—	—	—	3	—
ბარათაშვილები საამი და ედიშერი	119	—	1	1	—	—	—	1	—
ქავთარაშვილი სულხანი	123	—	1	1	—	—	—	1	—
ქავთარაშვილი გიორგი	124	—	1	2	—	—	—	1	—
ქავთარაშვილი იონათამ (გოსტაშაბაშვილი ამი- ლდაბარ)	124	—	1	1	—	—	—	1	—
* აზნ. ბერდია და ხინჩლა	53	—	1	2	—	—	—	1	—
18. დიდება	—	—	11	13	2	—	—	13	2
გოსტაშაბაშვილი ამილდა- ბარ	53	—	1	2	—	—	—	1	—
თაყაშვილი გიორგი	76	—	1	1	1	—	—	2	—
ბეგაშვილი მჟაუნა	78	—	1	1	—	—	—	1	—
ბეგაშვილი ლომკაცი	78	—	1	1	1	—	—	2	—
ზახუნაშვილი ბეჟან	125	—	1	1	—	—	—	1	—
აბულფათიშვილი ბეჟანი	138	—	2	2	—	—	—	2	—
ხერხეულიძე რევაზ	139	—	1	2	—	—	—	1	—
ხერხეულიძე ალათანგი	139	—	2	2	—	—	—	2	—
ხერხეულიძე იესე	139	—	1	1	—	—	—	1	—
ხერხეულიძე ხოსონაშვილი	139	—	—	—	—	—	—	—	2
19. დურნუქი	—	1	30	36	6	4	—	36	—
ჭირმანის ხანი	25	1	30	36	6	4	—	36	—

სოფლები, მებატონებები და მათი მემკვიდრეები	მ. თაყაიშვილის გამოცემის გვერდები	დავით აღმაშენებლის შუამდგომლობები	ჯ მ ე ბ ი						
			გამომღებები		ბოგანო		აყრილი	სულ მცხოვრებნი	ამოწყვეტილი
			კომლი	თავი	კომლი	მოლაშქრე			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
20. ელფია	—	—	10	12	1	1	2	13	—
გოსტაშაბაშვილი ამილღაბარ	53	—	2	3	—	—	2	4	—
ნორად სუფრაჯი	113	—	1	1	—	—	—	1	—
ნამანგლელევიშვილი როსტომ და გუგუნა	121	—	3	3	—	—	—	3	—
ზახუნაშვილი ბეჟანი	125	—	1	1	—	—	—	1	—
გურიელი პაატა	126	—	1	1	—	—	—	1	—
თაყაიშვილი ქაიხოსრო	127	—	1	1	—	—	—	1	—
იოთამისშვილი ორბელი და გივი	128	+	1	2	1	1	—	2	—
21. მნაბაიტი	—	1	27	27	5	1	—	32	1
მეფე	5	—	3	3	—	—	—	3	—
შალიკაშვილი ნახირი ვდიშერი	37	—	1	1	—	—	—	1	—
გოსტაშაბაშვილი ამილღაბარი	53	1	—	—	—	—	—	—	—
თაყაიშვილი გიორგი	76	—	1	1	—	—	—	1	—
გილაქიშვილი ნიკოლოზ	89	—	2	2	—	—	—	2	—
ახნ. ყორღანაშვილი თაყა	93	—	1	1	—	—	—	1	—
ახნ. ყორღანაშვილი პაპის ყმა	94	—	—	—	1	—	—	1	—
ახნ. ყორღანაშვილი ზალი	94	—	2	2	—	—	—	2	—
ახნ. ყორღანაშვილი რ.ი.ი.ნაშვილი	94	—	2	2	1	—	—	3	—
ნორად სუფრაჯი	112	+	—	—	—	—	—	—	1
ბარათაშვილები საამი და ედიშერი	118	—	4	4	1	1	—	5	—
ნამანგლელევიშვილი როსტომ და გუგუნა	120	—	1	1	—	—	—	1	—
ზახუნაშვილი ბეჟანი	125	—	1	1	1	—	—	2	—
გერმანოზიშვილი დათუნა	132	—	5	5	—	—	—	5	—
გერმანოზიშვილი ოთარ	135	—	3	3	—	—	—	3	—
კანჭაშვილი თომა	138	—	1	1	1	—	—	2	—
22. მრდო.	—	—	2	4	—	—	—	2	—
გოსტაშაბაშვილი ამილღაბარ	55	—	2	4	—	—	—	2	—

სოფლები, მეტატონეები და მათი მემამულეები	მ. თაყაიშვილის გამოცემის გვერდები	დამოკიდებული უცხო აზნაურები	ც მ ე ბ ი						
			გამომღები		ბოგანო		აყრილი	სულ მცხოვრები	ამოწყვეტილი
			კომლი	თავი	კომლი	მოლა- შეკე			
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
23. ერტიისი	—	—	14	20	5	2	—	19	—
ტფილელი	47	—	2	3	2	2	—	4	—
გოსტაშაბაშვილი ამილდა- ბარი	56	—	2	4	—	—	—	2	—
თურქისტანიშვილი თურ- ქისტან	79	—	3	3	1	—	—	4	—
თურქისტანიშვილი ხაზა	80	—	1	2	—	—	—	1	—
თურქისტანიშვილი ქაიხო- სრო	81	—	1	2	—	—	—	1	—
თურქისტანიშვილი ღონენა	82	—	1	1	1	—	—	2	—
თურქისტანიშვილი სენია	83	—	1	1	1	—	—	2	—
ქვეთარაშვილი გიორგი	124	—	1	2	—	—	—	1	—
აბუღაბათიშვილი ბეჟანი	138	—	1	1	—	—	—	1	—
ყაფლანისშვილი რევაზი	228	—	1	1	—	—	—	1	—
24. მრწო	—	—	6	8	1	1	—	7	—
გოსტაშაბაშვილი ამილდა- ბარ	54	—	3	5	1	1	—	4	—
ხახუნაშვილი გიორგი	126	—	1	1	—	—	—	1	—
თაყაშვილი დემეტრე	127	—	2	2	—	—	—	2	—
25. მშვის წყარო	—	—	6	6	—	—	—	6	—
თაყაშვილი ვახტანგი	75	—	1	1	—	—	—	1	—
საჩინოშვილი ფარსადანი	75	—	2	2	—	—	—	2	—
თაყაშვილი გიორგი	76	—	3	3	—	—	—	3	—
26. შაკე	—	—	6	8	1	1	—	7	—
გოსტაშაბაშვილი ამილდა- ბარ	54	—	3	5	1	1	—	4	—
თაყაშვილი ვახტანგი	75	—	2	2	—	—	—	2	—
თაყაშვილი გიორგი	76	—	1	1	—	—	—	1	—
27. შირსენალი	—	—	7	8	4	1	—	11	—
გერმანოვიშვილი დათუნა	134	—	2	2	—	—	—	2	—
* აზნ. რომანოზ	134	—	1	1	1	—	—	2	—
8. ბახჩალარი	1721	—	3	3	2	—	4	9	
	1701—11	—	8	17	—	—	—	8	
9. ბურვილი	1721	—	10	10	—	—	—	10	
	1701—11	—	7	29	—	—	—	7	
10. ბოლნისი ქვემო	1721	—	—	—	—	—	—	—	
	1701—11	—	5	7	—	—	—	5	
11. ბოლორკვანტი	1721	—	5	5	2	—	4	11	
	1701—11	—	3	5	—	—	—	3	
12. ბოწის სოფ.	1721	—	ობგერი	—	—	—	—	—	
	1701—11	—	4	7	—	—	—	4	
13. ბოცოეთი	1721	—	6	8	—	—	—	6	
	1701—11	—	7	25	—	—	—	7	
14. გატეხილი საყდარი	1721	—	2	3	2	—	—	7	
	1701—11	—	12	37	—	—	—	12	
15. გვარჯილი	1721	—	3	3	—	—	1	4	
	1701—11	—	3	7	—	—	—	3	

1	აღწერა	უცხოვანაური	შ მ ე ბ ი						სულ ამოწვევ. გარდა
			გამომცემები		ბოგანო		აყრილი		
			კომლი	თავი	კომლი	თავი			
2	3	4	5	6	7	8	9		
16.	ფილას სოფ.	1721	—	11	14	2	—	5	18
	1701—11	—	—	4	6	—	—	—	4
17.	გელდიგილანი	1721	—	3	4	—	—	1	4
	1701—11	—	—	18	41	—	—	—	18
18.	ვოგარჩლუ	1721	—	12	16	3	—	6	21
	1701—11	—	—	5	10	—	—	—	5
19.	გულა სოფ.	1721	—	2	3	—	—	4	6
	1701—11	—	—	2	5	—	—	—	2
20.	დამბლუტი	1721	—	3	7	1	—	6	10
	1701—11	—	—	5	13	—	—	—	5
21.	დარბაზთალა	1721	—	4	6	1	—	15	20
	1701—11	—	—	16	36	—	—	—	16
22.	დბანისი	1721	—	6	7	1	—	3	10
	1701—11	—	—	9	16	—	—	—	9
23.	დელიყულიჯანი ზემო	1721	—	3	3	2	—	9	14
	1701—11	—	—	16	42	—	—	—	16
24.	დელიყულიჯანი ქვემო	1721	—	13	14	5	—	10	28
	1701—11	—	—	24	51	—	—	—	24
25.	დრლამაშენი	1721	—	7	9	1	—	—	8
	1701—11	—	—	10	25	—	—	—	10
26.	დრიანეთი	1721	—	7	8	5	—	3	15
	1701—11	—	—	14	25	—	—	—	14
27.	ვანი	1721	—	6	9	4	—	—	10
	1701—11	—	—	12	12	—	—	—	12
28.	ვარდისუბანი	1721	—	13	14	—	—	1	14
	1701—11	—	—	14	25	—	—	—	14
29.	ვარძაგარა	1721	—	25	34	3	—	6	34
	1701—11	—	—	47	178	8	9	—	55
30.	ვარდისუბანი	1721	—	16	23	11	—	4	31
	1701—11	1	—	19	43	—	—	—	19
31.	ვადავერი	1721	—	3	6	—	—	9	12
	1701—11	—	—	14	32	—	—	—	14

1	აღწერა	უცხოვანური	ყ მ ე ბ ი					
			გამომღები		ბოგანო		აყრილი	სულ ამოწვევ. გარდა
			კომლი	თავი	კომლი	თავი		
2	3	4	5	6	7	8	9	
32. თაგუთი	1721	—	12	13	10	—	6	28
	1701—11	—	13	31	1	1	—	14
33. თეკენანი	1721	—	1	1	—	—	8	9
	1701—11	—	2	3	—	—	—	2
34. თოფრაცალა	1721	—	2	2	2	—	—	4
	1701—11	—	1	2	—	—	—	1
35. იაღღუზი	1721	—	8	11	—	—	3	11
	1701—11	—	12	27	—	—	—	12
36. იენგიჩაზი	1721	—	6	6	—	—	—	6
	1701—11	—	12	18	—	—	—	12
37. იფნობი	1721	—	17	17	4	—	—	21
	1701—11	—	5	11	3	7	—	8
38. კატავეთი	1721	—	3	3	—	—	—	3
	1701—11	—	4	8	—	—	—	4
39. კატნარი	1721	—	2	3	3	—	—	5
	1701—11	—	4	7	—	—	—	4
40. კიპრუჭი	1721	—	6	7	1	—	1	8
	1701—11	—	6	7	—	—	—	6
41. ლაკლაკაშენი	1721	—	8	14	1	—	4	13
	1701—11	—	14	36	—	—	—	14
42. ლიყურეთი	1721	—	—	—	—	—	—	—
	1701—11	—	1	3	—	—	—	1
43. ლორაშენი	1721	—	3	3	—	—	2	5
	1701—11	—	15	28	—	—	—	15
44. მაკვა	1721	—	1	1	1	—	—	2
	1701—11	—	9	22	—	—	—	9
45. მანაკერტი	1721	—	12	23	5	3	2	19
	1701—11	—	3	7	—	—	—	3
46. მარაბდა	1721	—	1	1	1	—	1	3
	1701—11	—	3	3	—	—	—	3
47. შირტაშენი	1721	—	13	14	6	—	5	24
	1701—11	—	22	22	—	—	—	22

1	2	3	შ მ ე ბ ი						9
			გამომღები		ბოგანო		8	სულ ამოწვევ. გარდა	
			4	5	6	7			
48. მიჯა ზემო	1721	—	5	8	3	—	5	13	
	1701—11	—	13	33	—	—	—	13	
49. მოლა ყასუმი	1721	—	6	7	—	—	8	14	
	1701—11	—	9	18	—	—	—	9	
50. მუგუთი	1721	—	23	29	7	—	—	30	
	1701—11	—	22	23	—	—	—	22	
51. მუსეფარიანი	1721	—	27	29	5	—	—	32	
	1701—11	—	16	35	7	7	—	23	
52. მუსი ყალა.	1721	—	12	15	—	—	6	18	
	1701—11	—	6	13	—	—	—	6	
53. მუტავისი	1721	—	6	7	—	—	3	9	
	1701—11	—	12	26	—	—	—	12	
54. მწყნეთი	1721	—	3	2	—	—	6	9	
	1701—11	—	13	32	—	—	—	13	
55. მწყნეთი	1721	—	აყბილი	—	—	—	—	—	
	1701—11	—	16	16	—	—	—	16	
56. ორმოზანი	1721	—	12	13	9	—	1	22	
	1701—11	—	33	73	—	—	—	33	
57. საკარი	1721	—	14	20	—	—	5	19	
	1701—11	—	24	2	2	—	—	26	
58. სარახველა	1721	—	4	6	6	—	—	10	
	1701—11	—	4	9	—	—	—	4	
59. სარკინეთი	1721	—	7	10	1	—	4	12	
	1701—11	—	16	32	—	—	—	16	
60. სარუჩამას სოფელი	1721	ობგრი	—	—	—	—	—	—	
	1701—11	—	5	6	—	—	—	5	
61. სუგეჩანი	1721	—	3	3	2	—	6	11	
	1701—11	—	3	4	—	—	—	3	
62. სირჩაპატი	1721	—	4	6	3	—	6	13	
	1701—11	—	18	51	—	—	—	18	
63. ტამალია	1721	—	13	17	3	—	—	16	
	1701—11	—	16	42	—	—	—	16	
64. ტანძია	1721	—	39	41	—	—	—	39	
	1701—11	—	13	26	—	—	—	13	

1	2	3	ყ მ ე ბ ი					8	9
			გამომღები		ბოგანო		აყრილი		
			კომლი	თავი	კომლი	თავი			
65. ტალღანი	1721	—	7	7	2	—	2	11	
	1701—11	—	3	6	—	—	—	3	
66. უნდუში	1721	—	აყრილი	—	—	—	—	—	
	1701—11	—	5	14	—	—	—	5	
67. უსეინას სოფელი	1721	—	5	5	—	—	—	5	
	1701—11	—	12	20	—	—	—	12	
68. ფარჩუხლუ	1721	—	აყრილი	—	—	—	—	—	
	1701—11	—	4	10	—	—	—	4	
69. ფარანჯუკი	1721	—	5	6	3	—	2	10	
	1701—11	—	24	53	—	—	—	24	
70. ფიტარეთი	1721	—	16	16	3	—	—	19	
	1701—11	—	36	111	2	4	1	39	
71. ფოცხვერიანი	1721	—	17	25	6	—	1	24	
	1701—11	—	1	2	—	—	—	1	
72. ქედის ეკლესია	1721	—	8	10	1	—	4	13	
	1701—11	—	10	23	—	—	—	10	
73. ქერემდარა	1721	—	4	6	—	—	5	9	
	1701—11	—	3	6	—	—	—	3	
74. ყადრიყული	1721	—	3	5	3	—	—	6	
	1701—11	—	5	12	—	—	—	5	
75. ყალამზიანი	1721	—	6	9	1	—	4	11	
	1701—11	—	14	29	—	—	—	14	
76. ყამიში	1721	—	7	9	—	—	7	14	
	1701—11	—	7	11	—	—	—	7	
77. ყამიში ზემო	1721	—	7	8	—	—	6	13	
	1701—11	—	4	7	—	—	—	4	
78. ყარაბულახი ქვემო	1721	—	7	8	—	—	7	14	
	1701—11	—	7	16	—	—	—	7	
79. ყარაბულახი	1721	—	2	3	—	—	6	8	
	1701—11	—	10	17	—	—	—	10	
80. ყარაქილისა	1721	—	10	13	6	—	6	22	
	1701—11	—	32	81	—	—	—	32	

1	2	3	ც მ ე ბ ი						9
			გამომღები		ბოგანო		8	სულ ამიწვევ. გარდა	
			4	5	6	7			
81. ყაჯილუბი ზემო	1721	—	6	8	—	—	6	12	
	1701—11	—	5	8	—	—	—	5	
82. ყაჯილოხი (მესამე)	1721	—	5	7	—	—	2	7	
	1701—11	—	7	12	—	—	—	7	
82. ყაჯილოხი ქვემო	1721	—	5	6	—	—	5	10	
	1701—11	—	—	—	—	—	—	—	
83. ყოშაქილისა	1721	—	9	12	3	—	16	28	
	1701—11	—	27	48	—	—	—	27	
84. შავი საყდარი	1721	—	7	7	6	—	2	15	
	1701—11	—	17	37	—	—	—	17	
85. შავი საყდარი	1721	—	5	5	—	—	12	17	
	1701—11	—	29	60	—	—	—	29	
86. შესაყარი	1721	—	10	10	1	—	1	12	
	1701—11	—	9	22	—	—	—	9	
87. შინდლარი	1721	—	23	23	—	—	10	33	
	1701—11	—	35	73	8	8	—	43	
88. შიშტყვა	1721	—	9	12	—	—	7	16	
	1701—11	—	13	23	—	—	—	13	
89. შულავერი	1721	—	3	3	1	—	6	10	
	1701—11	—	11	21	—	—	—	11	
90. ჩარჯამაშენი	1721	—	3	4	1	—	11	15	
	1701—11	—	8	8	—	—	—	8	
91. ჩარდანლუ	1721	—	11	14	6	—	14	31	
	1701—11	—	16	33	—	—	—	16	
92. ჩახნახლუ	1721	—	აყრილი	—	—	—	—	—	
	1701—11	—	6	12	—	—	—	6	
93. ჩინჩხური	1721	—	5	6	4	—	—	9	
	1701—11	—	11	22	1	2	—	12	
94. წაგაკამიები (წაკეგელტი)	1721	—	5	8	1	7	—	13	
	1701—11	—	13	25	—	—	—	13	
95. წითელი ეკლესია	1721	—	7	9	—	5	—	12	
	1701—11	—	17	47	—	—	—	17	

1	აღწერა	უცხოვანური	ც მ ე ბ ი				აყრილი	სულ ამოწვევ. გარდა	
			გამომღები		ბოგანო				
			კომლი	თავი	კომლი	თავი			
2	3	4	5	6	7	8	9		
96.	წიფორი	1721	8	10	4	—	—	12	
		1701—11	—	9	24	—	—	9	
97.	წნორი	1721	5	5	—	—	—	5	
		1701—11	—	9	17	—	—	9	
98.	წრაურთა	1721	11	15	1	—	5	17	
		1701—11	—	5	5	—	—	5	
99.	წყლაში	1721	5	6	2	—	3	10	
		1701—11	—	7	17	—	—	7	
100.	კრეში	1721	15	17	23	—	—	38	
		1701—11	—	23	40	—	—	23	
101.	კუკას სოფელი	1721	5	5	—	—	10	15	
		1701—11	—	7	15	—	—	7	
102.	ხანძორი	1721	9	13	3	—	1	13	
		1701—11	—	6	11	—	—	6	
103.	ხინძორთალა	1721	4	5	3	—	—	7	
		1701—11	—	4	9	—	—	4	
104.	ხული	1721	4	6	2	—	4	10	
		1701—11	—	10	28	—	—	10	
105.	ხუცის სოფელი	1721	4	5	—	—	7	11	
		1701—11	—	3	5	—	—	3	
106.	ჯანაზიანი	1721	9	11	3	—	2	14	
		1701—11	—	6	10	3	6	9	
107.	ჯანბალა ზემო	1721	8	9	—	—	8	16	
		1701—11	—	6	27	—	—	6	
108.	ჯანბალა ქვემო	1721	3	4	—	—	4	7	
		1701—11	—	11	23	—	—	11	
109.	ჯვარი	1721	8	10	—	—	—	8	
		1701—11	—	8	29	—	—	8	
		1721	—	790	976	215	3	440	1445
		1701—11	—	1230	2701	35	4	1	1266

ამ ორი აღწერის შედარება შემდეგ სტრატის იძლევა:

	გამომღები		ბოგანო		აყრილ.	ს უ ლ .
	კომლი	თავი	კომლი	თავი		
1701—11 წლ. აღწ.	1230	2701	35	44	1	1266
	97%	2,2	3%	1,3%	—	—
1721 წლ. აღწ.	790	976	215	3	440	1445
	55%	1,2	15%	0,05	30%	—

აქედან ვხედავთ, რომ ყაფლანიშვილების სახასო ყმები ამ 109 სოფელში 1701—11 წლ. აღწერიდან 1721 წლ. აღწერამდე გაძრავლებულან 179 კომლით (1445—1266) ანუ 14%-ით. მაგრამ დანაწილება ამ ყმებისა სულ სხვადასხვანაირია ამ ორ აღწერაში. 1701—11 წლის აღწერით გამომღებთა რიცხვი შეადგენდა მოსახლეობის 97%, ბოგანოთა 3%, აყრილების რიცხვი კი (1) პროცენტს არ შეადგენდა. 1721 წლ. აღწერით გამომღებთა რიცხვი შეადგენდა მხოლოდ 55%-ს, ბოგანოთა 15%-ს, აყრილთა რიცხვი 30%-ს. გამომღებთა რიცხვი დაკლებულია 42%-ით, მაგერათ გადიდებულია ბოგანოთა რიცხვი 12%-ით და აყრილთა რიცხვი არაფრისგან გამზდარა 30%.

1701—11 წლ. აღწერით თითო გამომღებზე მოდიოდა 2,2 „თავი“, თითო ბოგანოზე 1,3 „თავი“, 1721 წლ. აღწერით კი თითო გამომღებზე მოდის 1,2 თავი და თითო ბოგანოზე 0,05 თავი.

ყველაფერი ეს მოწმობს სამეფო გადასახადების და სამხედრო ბეგარის პროპორციონალურ შემცირებას, მაგრამ, რით არის გამოწვეული ამგვარი მდგომარეობა, ჯერ ჯერობით შეუძლებელია გადაჭრით ითქვას.

§ 97. მთელი მუჟინავე დროვის მოსახლეობა 1721 წლ. აღწერით განოლის:

	სოფლები		ნასოფლარები	მებატონეები	თაფისუფალი უკმო აზნაურ.	მემამულეები	დამოკიდ. და უკმო აზნ. ამოწვე მემამულენი	ყ მ ე ბ ი				ს უ ლ მცხოვრებნი
	არსებული	აყრილი						გამომღები	ბოგანო	აყრილი	სულ ყმები	
აღკვეთში	85	—	—	66	18	24	24	979	274	10	1263	1394
დბანისში	108	2	4	29	7	78	38	770	224	254	1248	1387
თრიალეთში	58	—	—	15	1	1	—	422	124	1	547	564
მტკვრის გაღმა	6	—	—	22	—	1	—	69	9	—	78	81
სკვირეთში	12	—	—	5	—	8	4	112	25	—	137	154
სომხითში	104	—	—	86	20	49	37	944	253	48	1245	1432
ტაშირში	49	2	12	1	—	—	—	368	69	265	702	703
ქციაში	65	1	—	37	24	30	25	581	155	29	765	876
ყაოაბულალში	45	—	1	89	—	3	2	226	44	67	337	351
გამოურკვ. მხარ.	19	3	1	—	—	4	—	85	17	77	179	183
ს უ ლ	546	8	18	250	70	198	130	4556	1194	751	6501	7125

ამ ცხრილში მოსახლეობის საერთო ჯამი ალგეთში, დბანისში, სომხეთში სვეტებით მოსახლეობა ქციაში 25-ით რაკლებია, ვიდრე ჩვენ მიერ არის აღნიშნული ცალკე სვეტებში, და გამოიხატება ალგეთში — 1395, დბანისში — 1400, სომხეთში — 1437 და ქციაში 881.

ეს იმიტომ რომ:

1) ფიტარეთის წინამძღვარი აღნიშნულია ქციის ხეობის, როგორც მებატონეთა (§ 132), ისე მემამულეთა სვეტებში (§ 134).

2) 24 მემამულე გლეხი აღნიშნული არიან როგორც „მემამულეთა“ ისე გამოძღებ „გლეხთა“ სვეტებში, ალგეთში—1, დბანისში—13, სომხეთში—5 და ქციაში—5 (§§ 80, 139).

XIII.

§ 98. 1721 წლ. აღწერაში ერთი მხარის და ერთი სახელწოდების რამდენიმე მეზობლად მდებარე სოფელი ერთ აღწერაში არის მოქცეული და არ არის განსაზღვრული, რომელ მათგანში რამდენი და ვისი ყმა ცხოვრობდა. სოფლების საშუალო მოსახლეობის გამოსარკვევად საჭიროა ამგვარი აღწერის განაწილება. რასაკვირველია, ეს შეიძლება მხოლოდ დაახლოვებით და არავითარი მტკიცე საფუძველი ამ დანაწილებას არ ექნება. ჩვენ ასეთი წესი მივიღეთ. იქ, სადაც ერთი მებატონე იყო, ამგვარი მოსახლეობა თანასწორ ნახევრებათ გაყავით. იქ, სადაც რამდენიმე მებატონე იყო, ვეცადეთ რამდენათ შესაძლებელი იყო, თანასწორად გაგვეყო, მაგრამ რადგან რამდენიმე მებატონეების ყმების თანასწორად გაყოფა ზოგჯერ არ მოხერხდა, თანასწორობა ყოველგან დაცული ვერ იქნა. ქვემოთ მოყვანილი სია უჩვენებს ამ დანაწილებას:

	§ 71-ის სიის რიგი	გამომღები		ბოვანო		აქტილ. ან აობზ.	სულ მცხოვ.	ამოწკმ.
		კომლი	თავი	კომლი	თავი			
ალგეთში								
თელეთი—1	284/5	6	7	—	—	—	6	
მუხრანბატონი აღიყული ხანი—ისე ბატონი- შვილი		6	7	—	—	—	6	
თელეთი—2		13	20	4	2	—	17	
ამილახორი		12	18	4	2	—	16	
აზნ. ალა		1	2	—	—	—	1	
დბანისის ხეობაში								
თაგუთი—1	265/6	3	3	2	1	—	5	
იოთამიშვილები ორბელი და გივი		2	2	1	1	—	3	
შერბადინაშვილი ბეჟან		1	1	1	—	—	2	
თაგუთი—2		12	13	10	—	6	28	
ყაფლანიშვილები		2	2	1	—	6	9	

	№ 71-ის ცხრილის რიგი	გამომღები		ბოგანო		აქროლ. ან აობზ.	სულ მცხოვ.	ამოწყ.
		კომლი	თავი	კომლი	თავი			
დბანელი		1	1	1	—	—	2	
ხაჩიძეშვილი		9	10	8	—	—	17	
კაზრეთი და გონა- სტერი								
კაზრეთი	314	7	12	—	—	—	7	
ვახუშტი ბატო იშვილი		3	5	—	—	—	3	
ხურაბიშვილი ბეჟანი		4	7	—	—	—	4	
გონასტერი	442	5	8	1	1	—	6	
ხალიშვილი პატარა ხუ- რაბი		5	8	1	1	—	6	
ორმოზანი—1	509/10	8	8	9	—	—	17	
ყაფლანიშვილები		8	8	9	—	—	17	
ორმოზანი—2		4	5	—	—	1	5	
დბანელი		4	5	—	—	1	5	
საკარი—1	548/9	7	10	—	—	3	10	
ყაფლანიშვილები		7	10	—	—	3	10	
საკარი—2		7	10	—	—	2	9	
ყაფლანიშვილები		7	10	—	—	2	9	
ყადრიყული—1	716/7	3	5	—	—	—	3	
ყაფლანიშვილები		3	5	—	—	—	3	
ყადრიყული—2		—	—	3	—	—	3	
ზარასაშვილი თამაზი		—	—	2	—	—	2	
ზარასაშვილი შანაზარა		—	—	1	—	—	1	
ყალაგზიანი—1	723/4	3	5	1	—	2	6	
ყაფლანიშვილები		3	5	1	—	2	6	
ყალაგზიანი—2		3	4	—	—	2	5	
ყაფლანიშვილი		3	4	—	—	2	5	
შინდლარი—1	779/80	12	12	—	—	5	17	
ყაფლანიშვილები		12	12	—	—	5	17	
შინდლარი—2		11	11	—	—	5	16	
ყაფლანიშვილები		11	11	—	—	5	16	
თრიალეთში								
ბაბია—1	86/7	2	2	—	—	—	2	
გერმანოვიშვილი დათუნა		2	2	—	—	—	2	
ბაბია—2		2	2	—	—	—	2	
გერმანოვიშვილი ოთარი		1	1	—	—	—	1	
გერმანოვიშვილი ლუარსაბ		1	1	—	—	—	1	

	§ 71-ის ცხრილის რიგი	გამომღები		ბოგანო		აყრილ. ან აზნ.	სულ მცხოვ.	ამოწყ.
		კომლი	თავი	კომლი	თავი			
ბეშქენაშენი—1	114/5	7	12	1	1	—	8	
ახნ. რჩეულაშვილი ბეჟანი		7	12	1	1	—	8	
ბეშქენაშენი—2	11	5	9	2	2	—	7	
ახნ. რჩეულიშვილი პაატა		2	4	1	1	—	3	
ახნ. რჩეულიშვილი გიორგი		2	3	1	1	—	3	
ახნ. რჩეულიშვილი ვივი		1	2	—	—	—	1	
კარუკულმარტი—1	324/5	3	3	—	—	—	3	
ნათლიმცემელი		3	3	—	—	—	3	
კარუკულმარტი—2		2	3	—	—	—	2	
ნათლისმცემელი		2	3	—	—	—	2	
მერეპანა—1	417/8	6	7	—	—	—	6	
ბაქარ მეფე—შანავაზხანი		6	7	—	—	—	6	
მერეპანა—2		6	7	—	—	—	6	
ბაქარ მეფე—შანავაზხანი		6	7	—	—	—	6	
რეხა—1	531/2	7	12	2	2	—	9	
ციციშვილი ედიშერი		7	12	2	2	—	9	
რეხა—2		12	19	2	2	—	14	
ციციშვილი ნოდარიშვილი ზაზა		7	11	1	1	—	8	
ციციშვილი პაპუნაშვილი ზაზა		5	8	1	1	—	6	
საბატა—1	538/9	10	16	3	1	—	13	
მუსხელიშვილი ავთანდილ		10	16	3	1	—	13	
საბატა—2		7	8	4	—	—	11	
თურქისტანიშვილი ზაზა		7	8	4	—	—	11	
სამეხრეო—1	562/61	7	9	3	2	—	10	
მეფე		7	9	3	2	—	10	
სამეხრეო—2		6	8	2	2	—	8	
მეფე		6	8	2	2	—	8	
სკვირეთში								
ნახშირის გორა *) ზამო—1	492/3	4	4	—	—	—	4	
ბარათაშვილები საამი და ედიშერი		4	4	—	—	—	4	

*) აღწერაში ორივე ნახშირის გორა ცალ-ცალკეა აღწიშნული და ექვმო ნახშირის გორა ცალკე. ორივე ნახშირის გორაში ბარათაშვილების 7 ყმა ნაჩვენებია, ქვემო ნახშირის გორაში თარხნიშვილების შემამულებების გეთანასშვილებს 3 ყმა. ცალკე სოფლების მოსახლეობის საშუალო რაოდენობის გამოსანგარიშებლად ჩვენ ორივე ნახშირის გორის ბარათაშვილების ყმები გაყავით: ზემო ნახშირის გორას მივაკუთვნეთ 4 ყმა და ქვემო ნახშირის გორას 3 ყმა.

	§ 71-ის ცხრილის რივი	გამომღები		ბოვანო		აქტილ. ან აზხო.	სულ მცხოვ.	ამოწმ.
		კომლი	თავი	კომლი	თავი			
ნახშირის გორა მშენ-2		5	6	1	1	1	6	
ბარათაშვილები საამი და ელიშვი		3	3	—	—	—	3	
გეთანაშვილები		2	3	1	1	—	3	
სოფლისეზი								
არქივანი-1	42/3	1	1	—	—	—	1	
ამილახორი		1	1	—	—	—	1	
არქივანი-2		2	2	—	—	—	2	
ამილახორი		2	2	—	—	—	2	
სამსონი-1	562/3	1	1	—	—	—	1	
შანშიაშვილები		1	1	—	—	—	1	
სამსონი-2		—	—	1	1	—	1	
შანშიაშვილები		—	—	1	1	—	1	
სარკინეთი-1	577/8	10	11	—	—	—	10	
მუხრან ბატონი ალი ყული ჩანი—იესე ბატონი- შვილი		10	11	—	—	—	10	
სარკინეთი-2		3	3	1	1	—	4	
ახნ. შალალაშვილი აღხაზა		1	1	—	—	—	1	
ახნ. შალალაშვილი გიუა		1	1	—	—	—	1	
ახნ. შალალაშვილი გორ- ჯასპი		1	1	—	—	—	1	
ახნ. მახვილაძე ბერი		—	—	1	1	—	1	
წიკაპში—	832/3	19	21	2	—	—	21	
გოსტაშაბაშვილი ამილღაბარ		19	21	2	—	—	21	
წიკაპში-2		11	13	2	2	—	13	
ციციშვილი უთრუთა		6	8	2	2	—	8	
ციციშვილი პაპუნა		3	3	—	—	—	3	
ციციშვილი ზაზა		2	2	—	—	—	2	
ჯანსოგა-1	916/7	2	3	—	—	1	3	
აღნიანაშვილი ზაალი და ბეჟან		1	2	—	—	—	1	
აღნიაშვილი ალავერდა		1	1	—	—	1	2	
ჯანსოგა-2		2	2	—	—	—	2	
აღნიაშვილი შერმაზან		1	1	—	—	—	1	
აღნიაშვილი. შალვა		1	1	—	—	—	1	

	§ 71-ის ცნობის რიგი	გამომღები		ბოგანო		აყრილ ან აიღო	სულ მეტრე	ამოწყ.
		კომლი	თავი	კომლი	თავი			
ტაშირში								
პალუია-1	520/1	7	10	1	—	—	8	
მეფე		7	10	1	—	—	8	
პალუია-2		8	10	1	—	—	9	
მეფე		8	10	1	—	—	9	
ჩარდახლუ-1	748/9	6	7	3	—	7	16	
ყაფლანიშვილები		6	7	3	—	7	16	
ჩარდახლუ-2		5	7	3	—	7	15	
ყაფლანიშვილები		5	7	3	—	7	15	
ქციის სმოზაში								
კარაქა-1	318/19/20	2	2	—	—	—	2	
ყარაბუდანიშვილი თამაზ		2	2	—	—	—	2	
კარაქა-2		1	2	—	—	—	1	
ყარაბუდანიშვილი გიორგი		1	2	—	—	—	1	
კარაქა-3		—	—	2	—	—	2	
შემაზაშვილი ხალია		—	—	1	—	—	1	
შემაზაშვილი ხოსიტა		—	—	1	—	—	1	
ნახიდუარი-1	490/1	8	11	2	—	—	10	
დედოფალი		8	11	2	—	—	10	
ნახიდუარი-2		19	24	5	1	—	24	
სვიმონ ბატონიშვილი		8	11	—	—	—	8	
გილაქიშვილი ბეჟანი		9	10	3	—	—	12	
ვახუშტი ბატონიშვილი		1	2	1	1	—	2	
ყარჩინაშვილი პატარა კაცი		1	1	1	—	—	2	
ქარაბულაღში								
მბრისი-1	210/1	8	9	5	—	—	13	
ლარაძე ზურაბ		5	6	3	—	—	8	
ლარაძე პაატა		3	3	2	—	—	5	
მბრისი-2		3	5	1	1	—	4	
ნოდარ სუფრაჯი		2	3	1	1	—	3	
ყაფლანიშვილი ქაიხოსრო		1	2	—	—	—	1	
ურცევეანი-1	639/40	5	9	1	1	—	6	
დედოფალი		5	9	1	1	—	6	
ურცევეანი-2		6	9	2	2	—	8	
დედოფალი		6	9	2	2	—	8	

XIV. § 99. გლეხების მოსახლეობის დანაწილება სოფლებად.

	1—2 კომლი		3—5 კომლი		6—10 კომლი		11—20 კომლი	
	სოფლების რიცხვი	ყმების რიცხვი	სოფლების რიცხვი	ყმების რიცხვი	სოფლების რიცხვი	ყმების რიცხვი	სოფლების რიცხვი	ყმების რიცხვი
ალგეთში	6	13	13	51	30	234	19	282
ღბანისში	10	18	18	74	33	282	39	576
თრიალეთში	3	6	14	58	22	171	15	205
მტკვრის გაღმა	—	—	—	—	3	22	2	30
სკვირეთში	—	—	2	9	6	46	3	45
სომხითში	11	17	25	99	31	243	25	371
ტაშირში	2	2	3	13	10	78	29	398
ქციაში	10	18	15	60	13	110	16	236
ყარაბულალში	5	8	11	48	13	104	10	130
გამოუკვევ. მხარეებში	8	15	2	13	6	54	6	97
საერთოდ	55	97	103	425	107	1344	164	2370

	21—40 კომლი		41—65 კომლი		65—100 კომლი		100 და 100-ზე მეტი კომლი		ს უ მ	
	სოფლების რიცხვი	ყმების რიცხვი	სოფლების რიცხვი	ყმების რიცხვი	სოფლების რიცხვი	ყმების რიცხვი	სოფლების რიცხვი	ყმების რიცხვი	სოფლების რიცხვი	ყმების რიცხვი
ალგეთში	11	302	5	237	—	—	1	144	85	1263
ღბანისში	10	298	—	—	—	—	—	—	110	1248
თრიალეთში	4	107	—	—	—	—	—	—	58	547
მტკვრის გაღმა	1	26	—	—	—	—	—	—	6	78
სკვირეთში	1	37	—	—	—	—	—	—	12	137
სომხითში	7	169	3	138	1	94	1	114	104	1245
ტაშირში	6	169	1	42	—	—	—	—	51	702
ქციაში	10	249	2	92	—	—	—	—	66	765
ყარაბულალში	—	—	1	47	—	—	—	—	40	337
გამოუკვევ. მხარეებში	—	—	—	—	—	—	—	—	22	179
რთოდ	51	1357	11	556	1	94	2	258	554	6501

უფრო მკიდრად შეჯგუფებული ცხრილი შემდეგ სურათს წარმოადგენს:

	I ჯგუფი 1-5 კომლი			II ჯგუფი 6-20 კომლი			III ჯგუფი 21-65 კომლი			IV ჯგუფი 65 და მეტი კომლი								
	მსკ	%	სტდენ	მსკ	%	სტდენ	მსკ	%	სტდენ	მსკ	%	სტდენ						
													მსკ	%	სტდენ			
ალგეთი	19	22	64	5	49	516	41	16	19	539	43	1	1	144	11	85	1263	
დაბისში	28	25	92	7	72	858	70	10	10	298	23	—	—	—	—	—	110	1248
თრიალეთში	17	30	64	11	37	376	—	4	6	107	19	—	—	—	—	—	58	547
მტკვრის ვალზე	—	—	—	—	5	83	67	1	17	26	33	—	—	—	—	—	6	78
სვერეთში	2	17	9	7	9	91	66	1	8	37	27	—	—	—	—	—	12	137
სომხთში	36	34	116	9	56	614	50	10	10	307	24	2	2	208	17	104	1245	
ტაშირში	5	10	15	2	39	476	68	7	14	211	30	—	—	—	—	—	51	702
ქციაში	25	38	78	10	29	346	45	12	18	341	45	—	—	—	—	—	66	765
ყარაბულალში	16	40	56	17	23	234	69	1	2	47	14	—	—	—	—	—	40	337
გამოურკვევ. მზარებში	10	50	28	15	12	151	85	—	—	—	—	—	—	—	—	—	23	179
ს უ ლ	158	28	522	8	331	603714	57	62	11	1913	29	3	1	352	6	554	6501	

აშ ცხრილიდან სჩანს, რომ მეწინავე სადროშოს სოფლების 60%-ში (331)—
 ცხოვრობდა 3714 კომლი ყმა, ე. ი. თითოში 11,2 კომლი, 28%-ში (158)—522
 კომლი, ე. ი. თითოში 3,3 კომლი, 11%-ში (62)—1913 კომლი, ე. ი. თითოში
 37 კომლი, 1%-ში (3)—352 კომლი, ე. ი. თითოში 137 კომლი. ყმების რაოდენობის მიხედვით უდიდეს დასახლებულ ადგილებად ითვლებოდა: ალგეთში: წინწყარო (144), მარნეული (58), დბანიხში: ტანძია (39), კრეში (38), თრიალეთში: ახლობა (31), თეზი (28), მტკვრის ვაღმა: დიდუბე (26), შვერობის ლილო (17), ხკვირეთში: ვეძისი (37), ბეთენია (20), ხომჯითში: ბოლნის ქვემო (114), ბოლნისის შუა (94), შულავერი (52), ტაშირში: აიდარბეგი (42), დოღბანდლუ (40), ქციაში: მუგუთი (30), მირტაშენი (29), ყარაბულალში: გომარეთი (47), მუნათი (18). გამოურკვ. მხარ.: ხიდის ყური (20), მამუკას თათრები (13).

XV. ზ) 1721 წლ. აღწერის რაიონის სოფლები და სხვა დასახლებული ადგილები, რომლებიც არ არიან აღნიშნული 1721 წლ. აღწერაში.

§ 100. სოფლების სიაში (რომელიც მოთავსებულია § 71-ში) ჩამოთვლილია 924*) სოფელი და ადგილი. აქედან 1721 წლ. აღწერაში მხოლოდ 572 სოფელი და ადგილია აღნიშნული. დანარჩენი 352 სოფელი და ადგილი ასე ნაწილდებიან:

ქვ. ქართლის სოფლები და ადგილები მეწინავე დროშის სოფლები და ადგილები 1721 წლ. აღწერის გარეშე.
მეწინავე დროშის გარეშე.

- | | |
|------------------|---------------------|
| 1.—ბანბაკის | 42.—ყაიყულის |
| 6.—ბერდუჯის. | 76.—ელის ტერიტორიის |
| 9.—ლორის რაიონის | |

1721 წლ. აღწერის რაიონის სოფლები და ადგილები, რომლებიც არ არიან მოხსენებული 1721 წლ. აღწერაში.

ამ ადგილების შემოაღნიშნულ რიცხვს (218) უნდა გამოავლდეს ნასოფლარები და ის ადგილები, რომელთა შესახებ საეკვოა, რომ ისინი ყოფილიყვნენ დასახლებული:

ასეთები არიან:

- | | |
|-----------------------|---------------------------|
| § 71. I. ნასოფლარები: | 397. მარიამი პატარა—აღვ. |
| 222. ერჯევანი—თრ. | 482. } |
| 254. ზარიაქანდი—ტშ. | 483. } ნასოფლარები—ტშ. |
| 261. ზეჟელისტანი—თრ. | 484. } |
| 360. კონხარი—აღვ. | 486. ნასოფლარი პატარა—თრ. |

*) სიაში 925 ადგილია ნაჩვენები, მაგრამ ყაიყულის ერთი სოფელი (ბეთლემი) შეცდომათ აღნიშნულია ჩვეულებრივი ნომერით (108) მაშინ, როდესაც ჩვენ მიერ მიღებული სისტემის თანახმად (§ 42) იგი უნდა იყოს მოხსენებული ორმაგი ნომერით (107-ა).

- | | |
|----------------------|------------------------|
| 608. სეთოქულანი—ტშ. | 466. ნადარბაზევი |
| 701. ქუჩათ უბანი—თრ. | 476. ნარიანი თრიალეთში |
| 862. ქაობი, სულ 12 | 522. პაპის გორა |
| | 525. პირმიწეთი |
| II. ადგილები: | 654. ფანავანი |
| 144. გელაზი | 683. ქაცაბანი |
| 188. დბალი | 766. შაორი—თრ. |
| 334. კვანტასლისი | 817. ცორკუტი, სულ 13 |
| 402. მალნარი | |
| 430. მლაშე | ს უ ლ — 25 |

§ 101. დანარჩენი 193 სოფელი ესენი არიან (იხ. სია § 71):

ა ლ გ ე თ შ ი ს უ ლ 28 ს ო ფ ე ლ ი .

- | | |
|--------------------|----------------|
| 41. არმანეთი | 369. ლაკვა |
| 69. ახალშენი | 406. მაწუნარა |
| 75. ახერისი | 448. მოქრისი |
| 76. ახოთი | 450. მოხისი |
| 89. ბაგრანეთი | 552. საკრისი |
| 116. ბირთვისი | 559. სამეზა |
| 125. ბორბალა | 589. საყავრე |
| 131. ბოლრანეთი | 707. ლარლლუპი |
| 172. გულტაპა | 710. ღვინჭრობი |
| 251. ვაშლოვანი | 746. ყოშაგერმა |
| 288. თოფრაყალა | 767. შარაბეთი |
| 296. 297. თხილოვნა | 812. ცირანთა |
| 353. კოდა | 819. ცხენიკალა |
| 355. კოზმანაშენი | |

დ ბ ა ნ ი ს შ ი — 31 ს ო ფ ე ლ ი .

- | | |
|----------------|--------------------|
| 55. აღუმბრუ | 264. თაგამარა |
| 56. აღუმბრუ | 275. თარაქაშენი |
| 57. აღუნდარე | 279. თევრე |
| 93. ბაკრანი | 310. ისპიანი |
| 139. ბუჩუკუნი | 313. იწრია |
| 146. გეტა | 425. მისხანა |
| 177. დარბაზი | 443. მონასტერი |
| 203. დისველი | 475. ნარიას სოფელი |
| 228. ვალდოვი | 540. საბერეთი |
| 229. ვალდოვი | 596. სევაგელცი |
| 256. ველკეთილი | 603. სოფელი |

- | | |
|----------------------|-----------------|
| 605. სოფელი | 761. შამირანი |
| 618. ტანძია (მესამე) | 791. შუშელი |
| 705, 706. ლამიში | 878. ხახალჯვარი |
| 743. ყორანთა | 914. ჯანდიდი |

თ რ ი ა ლ ე თ შ ი — 29 ს ო ფ ე ლ ი .

- | | |
|--------------------|-------------------|
| 68. ახალშენი | 449. მოხისი |
| 77. ახოტა | 473. ნალიბა |
| 97, 98. ბარეთი | 542. საბოზკურო |
| 101. ბარძიმი | 543. საბროწლე |
| 152. გვირგვინეთი | 570. საპიტიახჩო |
| 154. გოგათ გვერდი | 584, 585. საქათმე |
| 271. თალა | 614. ტამალია |
| 293. თურანი | 685. ქედის სოფელი |
| 347. კირკიტა | 786. შუა სოფელი |
| 348. კისია | 794. ჩამძვრალა |
| 350, 351. კლონეთი | 879, 880. ხველრმა |
| 365. კუკია | 902. ხუცის სოფელი |
| 384. ლურჯი საყდარი | |

მ ტ კ ვ რ ი ს გ ა ღ მ ა — 8 ს ო ფ ე ლ ი .

- | | |
|--------------------|------------------|
| 65. ახალი სოფელი | 533. რუსთავი |
| 278. თბილელის ლილო | 535. სააკას ლილო |
| 401. მაღალი ლილო | 712. ღომელაური |
| 472. ნათლუხი | 809. ჩულურეთი |

ს ო მ ხ ი თ შ ი — 43 ს ო ფ ე ლ ი .

- | | |
|---------------------|------------------------|
| 23. აკოფას სოფელი | 272. თალა |
| 45. ასანას სოფელი | 291. თოხქილისა |
| 61. აცუტი | 308. ისაკუას სოფელი |
| 80. ახტალა | 343. კირაკოზას სოფელი |
| 91. ბადეკი | 395. მანველას სოფელი |
| 99. ბარნაკარი | 414. მელიქაშენი |
| 113. ბესტის სოფელი | 526. ჟანგირი |
| 126. ბორდაძორო | 536. საბა |
| 179. დარბაზი | 558. სამება |
| 183. დაღარი | 624. ტეფური |
| 230. ვანათი | 635. უნდუში |
| 236. ვარახორი | 645. უჩქილისა |
| 249. ვასაკას სოფელი | 664. ფეითხანის ანდიკა |
| 263. ზურკუტი | 718, 719. ყაზანგუნბათი |

- | | |
|--------------------|----------------------|
| 759. შაინის სოფელი | 875. ხატის სოფელი |
| 800. ჩაულაპუნე | 892. ხოყორნია |
| 805. ჩორთანი | 900. ხურუტი |
| 847. წობა | 915. ჯანხოში (მეორე) |
| 855. წყლის ორმო | 918, 919. ჯარმეჩი |
| 868. კოჭკანი | 924. ჯონჯილი |
| 874. ხანძუტი | |

ტაშირში—11 სოფელი.

- | | |
|---------------------|-----------------|
| 3. აბრაკი | 644. უჩქილისა |
| 304. იეჩი | 646. უცუტი |
| 322. კარმიქარი | 687. ქელუ |
| 426. მისხანა | 731. ყარაბულალი |
| 551. საკირე | 830. წარუკა |
| 641. უსახელო სოფელი | |

ქციის ხეობაში—14 სოფელი.

- | | |
|------------------|------------------------|
| 112. ბერიქალი | 374. ლიბი |
| 151. გვიანა | 375. ლიბი |
| 232. ვანეთი | 445. მონასტერი (მეორე) |
| 243. ვარდისქალა | 628. ტყემლარა |
| 268. თავმრგვალა | 702. ქუჯაეთი |
| 294. თხვინთბა | 749. ყურის ხევი |
| 368. კუმტისუბანი | 899. ხუნანი |

ყარაბულახში—13 სოფელი.

- | | |
|---------------------|------------------------|
| 130. ბოსტლარი | 553. საკურისი |
| 148. გვარჯილა | 582. საფიქლე |
| 193. დემურას სოფელი | 775. შესაყარი (მესამე) |
| 338. კვირიკეთი | 795. ჩამძვრალა |
| 373. ლიბი | 813. ციხე ქვაბი |
| 462. მუხრანა | 838. წითელი საყდარი |
| 474. ნაპალატევი | |

გამოურკვეველ მხარეებში—სულ 16 სოფელი.

- | | |
|---|--|
| აღგ.—დბ.—ქც. | 673. ფორქალისი (იქვე 48, 303, 327—
1676—1727) |
| 770. შარქარი (სად. დასტ. კვ.) | აღგ.—ყარ.—ქც. |
| 235. ვაჟთახევი (სიძვ. II № 59—
1692—1770) | 182. დარუბანდი (დასტ. რაბ) |
| 489. ნაქურდევი (სიძვ. I № 36—144, I,
73, 1724) | აღგ.—ყარ. |
| | 295. თხილნარი (სიძვ. I № 248—1792) |

- დბნ.—ტაშ.
 778. შინბერი (1701—11 წ. აღწ.)
 დბ.—ქც.
 84. აჯირი (სიძვ. I—368—1792)
 242. ვარდისწყარო (იქვე)
 323. კარპეტის ხევი (იქვე)
 331. კახმახუთი (იქვე)
406. ნილოცა (იქვე)
 497. ნობისა (იქვე)
 დბ.—ქც.—ტშ.—ყარ.
 802. ჩიკორიძის სოფ. (1701—11 აღწ.)
 853. წყაროს თავი (1701—11 აღწ.)
 დბ.—ყარ.
 627. ტოლუ (1707—11 აღწ.)

§ 102. ამ ადგილების მოსახლეობის გამოსაანგარიშებლად უნდა მივიღოთ იმ მხარეების სოფლების მოსახლეობის საშუალო რაოდენობა 1721 წ. აღწ. მიხედვით, სადაც ისინი მდებარეობდნენ.

მეწინავე სადროშოს მხარეების სოფლების საშუალო რაოდენობა, ნასოფლარების და აყრილი სოფლების გამოკლებით უკვე გამოანგარიშებულია § 93-ში.

რაც შეეხება გამოურკვეველ მხარეების სოფლების მოსახლეობას, იმისი საშუალო რაოდენობა უნდა გამოვიანგარიშოთ ყველა იმ მხარეების სოფლების მოსახლეობის საშუალო რაოდენობით, რომელზედაც ისინი მიკუთვნილი არიან ასე:

	გამომღები		ბოგანო	აყრილი	ს უ ლ	
	კომლი	თავი	კომლი			
ალბ.—დბ.—ქც.						
ალგეთი	12	14	3	1	—	15
დბანისი	7	9	2	—	2	11
ქცია	9	11	2	1	—	11
საშუალო	9	11	2	1	1	12
ალბ.—ქც.						
ალგეთი	12	14	3	1	—	15
ქცია	9	11	2	1	—	11
საშუალო	10	12	2	1	—	12
ალბ.—ყარ.						
ალგეთი	12	14	3	1	—	15
ყარაბულადი	6	7	1	—	1	8
საშუალო	9	10	2	—	—	11
დბ.—ტაშ.						
დბანისი	7	9	2	—	2	11
ტაშირი	8	9	1	—	5	12
საშუალო	7	9	1	—	3	11
დბ.—ქც.						
დბანისი	7	9	2	—	2	11
ქცია	9	11	2	1	—	11
საშუალო	8	10	2	—	1	11

	გამომღები		ბოგანო		აყრილი	ს უ ლ
	კომლი	თავი	კომლი	მოლაშქრე		
დბ.—ჟარ.						
დბანისი	7	9	2	—	2	11
ყარაბულადი	6	7	1	—	2	9
საშვალო	6	8	1	—	2	9
ალბ.—ჟარ.—ჟც.						
ალგეთი	12	14	3	1	—	15
ყარაბულადი	6	7	1	—	—	8
ქცია	9	11	2	1	—	11
საშვალო	9	11	2	1	—	11
დბ.—ჟც.—ტაშ.—ჟარ.						
დბანისი	7	9	2	—	2	11
ქცია	9	11	2	1	—	11
ტაშირი	8	9	1	—	5	14
ყარაბულადი	6	7	1	—	1	8
საშვალო	7	9	2	—	2	11

ამ საფუძველით თუ ვინელმძღვანელებთ, გამოვა, რომ მეწინავე სადრო-შოში მდებარე იმ სოფლების მოსახლეობა, რომელიც 1721 წ. აღწერაში არაა ნაჩვენები, გამოიხატება შემდეგში:

	სოფლების რიცხვი	გამომღები		ბოგანო		აყრილი	ს უ ლ
		კომლი	თავი	კომლი	მოლაშქრე		
ალგეთში	28	336	392	84	28	—	420
დბანისში	31	217	279	62	—	62	341
თრიალეთში	29	203	290	58	29	—	261
მტკვრის გაღმა	8	96	120	8	8	—	104
სომხითში	43	387	430	86	86	43	516
ტაშირში	11	88	99	11	—	55	154
ქციაში	14	126	154	28	14	—	154
ყარაბულადში	30	78	91	13	—	26	117
სულ მხარეებში	177	1531	1855	350	165	186	2067

	სოფლების რიცხვი	გამომღები		ბოვანო		აყრილი	ს უ ლ
		კომლი	თავი	კომლი	მოლაშქრე		
ბამოურკვ. მხარეებში							
აღვ.—დბ.—ქც.	1	9	11	2	1	1	12
აღვ.—ქც.	3	30	36	6	3	—	36
აღვ.—ყარ.—ქც.	1	9	11	2	1	—	11
დბ.—ტშ.	1	7	9	1	—	4	12
დბ.—ქც.	6	48	60	12	—	6	66
დბ.—ყარ.	1	6	8	1	—	2	9
დბ.—ტაშ.—ქც.—ყარ.	2	14	18	4	—	4	22
აღვ.—ყარ.	1	9	9	2	—	—	11
სულ გამოურკვ. მხარ.	16	132	163	30	5	17	179
სულ საერთოდ	193	1663	2018	380	170	203	2246

§ 103. ქვემო ქართლის XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის მოსახლეობის გამოანგარიშების დროს ჩვენ მოკლებული ვართ ცნობები მოვიყვანოთ იმ სოფლების და ადგილების მებატონეთა და მემამულეთა შესახებ, რომლებიც არ არიან აღრიცხულნი 1721 წლ. აღწერაში. სიგელ-გუჯრებში გარდა იმისა, რომ ისინი სხვადასხვა დროს (XV საუკუნის ნახევრიდან XVIII საუკუნის დამლევამდე) არიან შედგენილი ან ისეთ საქმეებზეა ლაპარაკი, რომლებიც ამ საგანს არ ეხებიან, ან არის ლაპარაკი თითო-ოროლა, მეფის მიერ გაცემულ ან რომელიმე მებატონის მიერ ნაყიდ ყმაზე. აღნიშნული მებატონები (საგინაშვილი, ფარემუხაშვილი ბეჟან, გოსტაშაბაშვილები, გერმანოზიშვილები, ზურაბაშვილები; მეფე და სხვა) კი თითქმის ყველა გვხვდება 1721 წლ. აღწერაშიაც.

ცნობები მებატონებისა და მემამულეებზე ზემოხსენებულ საბუთებიდან არის მხოლოდ მოთავსებული 59-ში; ეს სოფლები და ადგილები შემდეგია (იხ. სოფლების სია § 71):

აღგეთში: ახალშენი, ახოთა, ბირთვისი, მლაშე, მოქრისი, მოხისი, ქაცაბანი, ყოშგერმა.

ღბანისის ხეობაში: აღუნდარე, ნარიას სოფ. ველკეთილი, თევრე, ისპიანი, ყორანთა, შამირანი.

თრიალეთში: გვირგვინეთი, გოგათ გვერდი, ზეულისტანი, თალა, კუკია, ქუჩათ უბანი.

მტკვრის გაღმა მხარე: საკას ლილო.

სომხითში: დარბაზი (179), დაღარი, თორქილისა, წობა, ხატის სოფელი.

ტაშირში: ზარიაქანდი, საკირე, სუთოქულანი.

ქციის ხეობაში: გვიანა, ვანეთი, ქუჯაეთია, ყურისხევი.

ყარაბულაღში: დემურა, კვირიკეთი, ნაპალატევი, ციხე ქვაბი.

აღგეთ—ქციაში; დბალი, ვაჟთახევი, კვანტასლისი, ნაქურდევი, პირმიწე-
თი, ფორქალისი, ცორკუტი.

აღგ.—დბან.—ქციაში: შაქარას სოფელი.

დბ.—ქც.—ტაშ.—ყარ.: ჩიკორიდის სოფელი, წყაროს თავი.

დბ.—ქც.: აჯირი, ვარდისწყარო, კარბეტის ხევი, კახმახუთი, ნილოცა,
ნობისი.

დბ.—ტაშ.: შინბერი.

აღგ.—ყარ.: თხილნარა.

დბ.—ყარ.: ტოლუ.

ქც.—ყარ.: დარუბანდი.

ახალი მემამულე და მებატონეები არიან:

ისპიანში — ვახუშტიშვილი, ყორანთაში—ქაჩიბაიძე, მოქრისში — არაზდინა-
შვილები, ციხე ქვაბში—მერაბისშვილი და ფანიაშვილი, ჩიკორიდის სოფელში—
მემამულე ჩიკორიძე და წყაროს თავში—მემამულე ჩიკოიძე.

აქედან: ვახუშტიშვილი 1690 წ. უკვე ყიდის თავის წილს ისპიანში, ყიდუ-
ლობს ფარემუზაშვილი საგინაშვილი, ქაჩიბაიძე იხს. 1447—59 წ. წინაპარია-
ბარათაშვილების, არაზდინაშვილი (იხს. 1635 წ.) წინაპარია ყორლანაშვილების,
მერაბისშვილი ყიდის თავის წილს ციხე ქვაბში 1713 წ., ყიდულობს ფანიაშვი-
ლი (რომელიც თავის მხრივ ამ წილს ყიდის 1735 წ., ყიდულობს ორბელიანი).
დარჩა: ფანიაშვილი, ჩიკორიძე და ჩიკოიძე (ეს ორი პირი ერთი და იგივე უნდა
იყოს).

საბუთების ზემოსსენებული შინაარსი არ გვაძლევს საშუალებას, წარმოდგე-
ნა ვიქონიოთ. იმ მებატონე და მემამულეთა შესახებ, რომლებიც არ სჩანან
1721 წლ. აღწერაში. რაც შეეხება უკმო აზნაურებს, ისინი სრულიად არ სჩანან
ამ საბუთებში.

XVI. II. მეფინავმ დროშის მხარეები 1721 წლ.

აღწერის რაიონის ბარეუბ.

1) შაიხუღი.

§ 104. ყაიყულში 42 სოფელი და ადგილია ნაჩვენები (§§ 41, 42). აქედან 3 ნასოფლარი, დანარჩენი 39 სოფლის მოსახლეობის გამოსაანგარიშებლად შესაძლებელია მივიღოთ ყაიყულის მეზობელი მხარის დბანისის ხეობის სოფლების საშვალო მოსახლეობა (§ 93): გამომღ. 7, თავი 9, ბოგანო 2, აყრილი 2, სულ 11. მთელი მოსახლეობა 30 სოფლების გამოდის:

გამომღები 273, თავი 351, ბოგანო 78, აყრილი 78. სულ 429. მთელი ყაიყული მეფეს ეკუთვნოდა, რაც დადასტურებულია დასტურლამალით (თავები კგ, კდ, ს), საიდანაც სჩანს, რომ ყაიყულის მთელი მოსახლეობა იხდიდა სამეფო გადასახადებს და ყველა იქაური სოფელი გაცემული იყო მეფის მიერ სამოურაოდ სხვადასხვა პირებზე.

2) შლი.

§ 105. ამ ხალხის მოსახლეობა შესაძლებელია გამოვიანგარიშოთ დასტურლამალის ცნობებით.

იქ მოხსენებულია 10 სხვადასხვა სახელწოდების ელი:

- | | |
|------------------------------------|------------------------------|
| 1. მდივანბეგის მიერ აღწერილი (ნდ). | 6. აღამათის ელი (იდ). |
| 2. ელი თარხანნი (ნე). | 7. სადედოფლო ელი (დ-ლგ). |
| 3. ერთი რიგის ელი (ნვ). | 8. კახური ელი (პბ). |
| 4. დაბნეულ ელი (მთ). | 9. პალაკაციური ელი (რი). |
| 5. ლანჩაბარი (პდ). | 10. სხვა ქვეყნების ელი (პბ). |

1. მდივანბეგის *) მიერ აღწერილი ელი შეტანილი იყო ცალკე დავთარში, რომელშიდაც შემდეგი სისტემაა მიღებული: ჯერ მოყვანილია ამა თუ იმ თაბუნის ან სოფლის კომლთა საერთო რიცხვი, შემდეგ თარხნების, შემდეგ ფუხარასი (ლარბისა) და უკანასკნელად ნაჩვენებია გადასახადების გამომღებ კომლთა რაოდენობა. თარხნების რიცხვი აღნიშნულია და ან მათი მდგომარეობით (ex officio), როგორც ალაღარის, გზირის, აღსაყალის და ბაზიერების, ან მეფის მიერ მიცემული (რწხ) წიგნით. ფუხარას რიცხვი აღინიშნებოდა თუ მათი რიცხვი ნამდვილით არ იყო ცნობილი, საერთო რიცხვიდან თარხნების გამოკლების შემდეგ ნაშთის 20%-ით. ყველა ამის შემდეგ დარჩენილი. ნაშთი აღინიშნებოდა როგორც ხარჯის გამომღებნი.

*) ეს მდივანბეგი ერასტი ორბელიანი უნდა იყოს, რომელიც სჩანს დასტურლამალის შედგენის დროს (1707/9 წ.) და ამის წინ (საქ. სიძვ, I. № 254/1703, № 60/1704, № 134/1706, II. № 181/1709. დასტ. თავი რ/1704).

ეს სისტემა პირდაპირ გამოთქმულია დემურჩი ასანლუ უზბაშის თაბუნის შესახებ: „კომლი 376, გამოვედით თარხანს 30. კიდევ გამოვედით ფუხარას ასზე კ-ს, (20), დარჩა გამომღები ხარჯისა 270“. აქ შეცდომა მხოლოდ მასშია, რომ 20% გამოანგარიშებულია არა კომლთა საერთო რიცხვის ნაშთიდან თარხანების გამოკლების შემდეგ, არამედ თვით საერთო რიცხვიდან. ამიტომ გამომღებთა რიცხვი ნაჩვენებია 270 და არა 276. ეს შეცდომა გადაწერის უნდა იყოს, რადგან დასტურლამალის ამ თავის (ნდ) სულსან მდივნის ვარიანტში ამ თაბუნის გამოანგარიშება სწორია. იქ ნათქვამია: „კომლი 376, თარხანი 30, ფუხარა 70, გამომღები 276“.

ამირ ხასარლუ მოლა აბდულას შვილის და ყადიმულის თაბუნის საერთო რიცხვი იყო 98 კომლი, თარხანი 18, ფუხარას გამოსანგარიშებლად უკანასკნელი ციფრი გამოკლებულია პირველიდან და ნაშთზე აღებულია 20% ($98 - 18 = 80 \times 0,20 = 16$). ამიტომ ამ თაბუნის აღწერა ასეთ ციფრებს იძლეოდა: საერთო რიცხვი 98, თარხანი 18, ფუხარი 16, გამომღებნი 64.

დასტურლამალში მოყვანილია მდივანბეგის აღწერა 34 სოფლისა და თაბუნისა *) და ვახტანგის 10 შესწორება ამ აღწერისა. ამ 44 მუხლიდან ზემოხსენებული სისტემით შედგენილია 28.

თუ დანარჩენ 16 მუხლში ან სრულებით არ არის ფუხარა (11) ნაჩვენები, ან მისი რაოდენობა (3) არ შეეფერება ზემომოყვანილ პროცენტს, ეს უნდა აიხსნებოდეს პირველ შემთხვევაში დასტურლამალის დაუმთავრებლობით და დეფექტებით, მეორეს შემთხვევაში იმ გარემოებით როცა ამწერლებმა დანამდივლებით იცოდნენ ფუხართა რაოდენობა და მათი პროცენტიული გამოანგარიშება საჭიროებას არ შეადგენდა.

ესაა მიზეზი, რომ საერთო ჯამში პროცენტული რაოდენობა, როგორც ფუხარებებს, ისე გამომღებთა არ შეეფერება ზემოაღნიშნულ სისტემას.

თაბუნების და სოფლების კომლთა აღწერის გარდა მდივანბეგს ოდიხებიც აუწერია, მაგრამ დასტურლამალში ამის შესახებ ცნობები შეტანილი არ არის.

ზოგიერთ თაბუნის აღწერაში გარდა კომლთა ამ სამი ნაწილისა (თარხანი, ფუხარა, გამომღები) მოყვანილია კომლთა მუშაობის ან მოხელების დარგიც: ლანჩბარი, ზარგარი და ბაზიერი. ამითგან ბაზიერები (ნასიბლუ—16 კომლი), როგორც მეფის მსახურნი (16 ნასიბლული ბაზიერი მოხსენებულია დასტ. სგ. თავში) განთავისუფლებულნი ყოფილან გადასახადებისგან. ეს იმითაც მტკიცდება, რომ მათი რიცხვი არ შედის არც პირველ რედაქციის და არც მერმინდელ შესწორებულ რედაქციის გამომღებთა საერთო ჯამში. ლანჩბარი და ზარგარი არ ყოფილან გადასახადებისგან განთავისუფლებული. ეს მოსაზრება ლანჩბარის (ნაჯბადანი, ქალაქლარი, ჩალაბლუ) შესახებ მტკიცდება დასტურლამალის პდ. თავით, სადაც ლანჩბარის თაბუნებია ჩამოთვლილი და სადაც მხოლოდ ინდოს თაბუნია მარტო ერთი გადასახადი—ოდუნ ახჩისაგან—განთავისუფლებული.

*) დურღია მარასანი, სადაც 2 სოფელი ითვლებოდა (იხ. § 71) ერთ აღწერაშია მოქცეული.

რაც შეეხება ქაფანაქჩი ფათას ზარგრებს რომ ისინი არ იყვნენ განთავი-
სუფლებულნი, ეს თვით მდივანბეგის აღწერიდან სჩანს, სადაც ზარგრების სა-
ერთო რიცხვიდან (8) პირდაპირ ნაჩვენებია თარხანი მხოლოდ 1 და გამომ-
ლები—7.

დასტურლამალში (ნდ) მოყვანილია არა მარტო მდივანბეგის აღწერის ცნო-
ბები არამედ ის ცვლილებანიც რომელიც შემდეგ შეუტანიათ, საფიქრებელია,
დასტურლამალის შედგენის დროს, ვახტანგ მეფის დროს.

ნაზარლუ უსენას თაბუნის შესახებ მდივანბეგის აღწერის მოყვანის შემდეგ
ნათქვამია:

„ახლა დადგა 46, გამოვედით (თარხანს და ფუხარას)—13, დარჩა 33“.
დანარჩენ შემთხვევებში „ახლა დადგა“-ს მავიერ ნაიქვამია „ამისი“. მაგ. ქეშა-
ლუ ყოჯას თაბუნის შესახებ მდივანბეგის აღწერის მოყვანის შემდეგ ნათქვამია:
„ამისი 24, თარხანი 6, ფუხარა 3, დარჩა 15“. როგორც წინეთ იყო ნათქვამი
ამგვარი შესწორებანი შეეხება მხოლოდ 10 თაბუნს.

რამოდენიმე თაბუნის აღწერის დროს ნაჩვენებია მახტა ხან 3 (ალავარი;
ფალაქათი იმირხანისა), ხან 5 (დემურჩი ასანლუ შარაფადანასი), ხან 1 (ქალა-
გირი) და ხან ციფრის აღუნისხველად (ქეშალუ ყოჯა)*). ეს ციფრები ერთს
შემთხვევაში (ქალაგირი) შედიან საერთო გამოანგარიშებაში. მეორეში (ქეშალუ
ყოჯა) არა. დანარჩენი სამი თაბუნის სრული და სწორი გამოანგარიშება კი
შენახული არ არის.

შესამჩნევია, რომ მახტის ჩვენება ამ ვახტანგის შესწორებულ რედაქციის
თვისებაა, თვით მდივანბეგის აღწერაში კი ეს სიტყვა არსად არ არის.

რას ნიშნავს ეს ციფრები და რატომაა ეს სიტყვა მხოლოდ ზუთ თაბუნის
აღწერაში, ჩვენთვის გამოურკვეველია, მით უმეტეს რომ როგორც მთელი ამ
აღწერის შინაარსიდან სჩანს, ყველა იქ ჩამოთვლილი თაბუნების კომლები გარ-
და თარხნებისა და ფუხარებისა იხდიდენ ყველა გადასახადებს და ბეგარებს და
შათ შორის, რასაკვირველია, ისეთ მნიშვნელოვან გადასახადს, როგორც იყო
მახტა.

ამიტომაც მოსახლეობის გამომლებთა რაოდენობის გამოანგარიშებაში ეს
ციფრები ჩვენ მიერ მიღებული არ არის.

დასტურლამალის ზემოხსენებული დაუმთავრებლობის და დეფექტებისა
გამო ჩვენ იძულებული ვიყავით ზოგიერ შემთხვევაში აღვედგინა დაახლო-
ვებით ის ტექსტი, რომელიც უნდა ყოველიყო ზოგიერთ თაბუნების აღწერაში.

1. (იხ. ნუსხა ქვეით) ალავარის შესახებ ნათქვამია: „კომლი 74. თარხანი 7,
ფუხარა 13, დარჩა 14“. თუ პირველი სამი ციფრი სწორია, გამომლები უნდა
დარჩენილიყო არა 14, არამედ 54, როგორც ეს მელიქიშვილის ვარიანტში
აწერია. იმავე თაბუნის მერმენდელ შესწორებაში ნათქვამია: „ამისი 72, თარ-

*) დემურჩი ასანლუ შარაფადანას მახტა ნაჩვენებია მხოლოდ მელიქიშვილის ვარიანტში,
დანარჩენების—ყველა ვარიანტებში.

ხანი 7, მახტა 3, ფუხარა 12⁴. რადგან ამ თაბუნების ანგარიშში მოყვანილი მახტა ჩვენ მიერ მიღებული არ არის, ამიტომ გამოვლებთა რიცხვად, რომელიც ტექსტს სრულებით აკლია, შევიტანეთ 53.

2. ამირ ამადლუ ფირმამადას თაბუნის შესახებ ნათქვამია: „კომლი 80, თარხანი 14, დარჩა გამომღები 43⁴“. ამ ტექსტში შეტანილი არაა ფუხარათა რიცხვი, რომელიც ამ ციფრების მიხედვით უნდა უდრიდეს 23.

3. დემურჩი ასანლუ უზბაშის შესახებ შესწორება ზემოთ იყო მოყვანილი.

4. დემურჩი ასანლუ შარაფადინას თაბუნის შესახებ ნათქვამია: „კომლი 109, თარხანი 19, დარჩა 77⁴“. ფუხარა გამოდის 18. დასტურლამალის მელიქიშვილის ვარიანტში კი აღნიშნულია ფუხარა 18 და გამომღები—72, რაც უფრო შეეფერება ანგარიშს, რადგან საერთო კომლის რიცხვიდან თარხანის რიცხვის გამოკლების შემდეგ ნაშთის 20% შეადგენს 18 და გამომღები დარჩება—72 ($109 - 19 = 91 \times 0,20 = 18$; $90 - 18 = 72$). ზემოხსენებული 77 გამომღებთა რიცხვი დარჩენილი უნდა იყოს შესწორებული რედაქციიდან, რადგან დასტურლამალის № 4532 და მელიქიშვილის ვარიანტებში სწორედ ამგვარი შესწორებული რედაქციაა ამ თაბუნისა: კომლი 122, თარხანი 19, მახტა 5, გამომღები 77. რადგან მახტის ციფრს არ ვღებულობთ ცალკე, ფუხარას რიცხვი 21 გამოდის და გამომღებთა 82 ($122 - 19 = 103 \times 0,20 = 21$; $103 - 21 = 82$).

8. მულალუ სეიდ ყასუმა ალი აღას თაბუნის შესახებ მერმენდელი შესწორება ამბობს: კომლი 32, თარხანი 6, ფუხარა 46, თარხანი 115.

ამ თითქოს განგებ არეულ ტექსტის აღსადგენათ საჭიროა გავიხსენოთ, რომ მდივანბეგის აღწერიდან, მერმენდელ შესწორებამდე, როგორც ეტყობა, დიდ დროს არ გაუვლია. არ უნდა დავივიწყოთ რომ ელის ძღწერა სამ წელიწადში ერთხელ ხდებოდა დასტ. (რნზ). ამიტომ როგორც საერთო ჯამი ორივე რედაქციაში, ისე მისი განაწილება ძლიერ მცირედ უნდა განსხვავდებოდეს ერთი მეორისაგან. ამიტომ და რადგანაც მდივანბეგის მიერ მოყვანილი ციფრები (კომლი 57, თარხანი 11, ფუხარა 9, გამომღები 37) სწორათაა. შედგენილი; არავითარი საბუთი არ გვაქვს იმისი, რომ მერმენდელი შესწორება ძლიერ განსხვავებული ყოფილიყო ამ ციფრებისგან. შესწორების ციფრებიდან დაახლოებით უდგებიან მდივანბეგის ციფრებს 6—11 (თარხანს) და 46—37 (გამომღებს), თუ საერთო ჯამს შესწორებისას მივიღებთ 63, მაშინ გამოვა, რომ თარხანი 6-ია, ფუხარა ($63 - 6 = 57 \times 0,20 = 12$) და გამომღები 46. ეს გამოანგარიშება, რასაკვირველია, მხოლოდ დაახლოებითია, მაგრამ იგი ბევრად უფრო შეეფერება სინამდვილეს, ვიდრე დასტურლამალის ამ თავის (ნდ) მერმენდელი შესწორების ციფრები, რომელიც, საფიქრებელია, გადამწერლებისგან არის ასე შელახული.

11. ნაჯბადინას შესახებ სწერია: კომლი 106, ლანჩაბარი 9, ალექსი მესხიშვილის ვარიანტით 5) თარხანი 6. რადგან ლანჩაბარი გამომღები იყო, ამიტომ საერთო ჯამი გამომღებთა იქნება 100.

17. ფალაქათი იმირხანის თაბუნის მერმენდელი შესწორებულ რედაქციაში ნათქვამია: ამისი კომლი 202, თარხანი 6, ფუხარა 9, დარჩა 34, მახტა 3.

იმ საფუძვლის გამო, რომელიც მოყვანილია მულაუ სეიდ ყასუმის თაბუნის შესახებ ამ თაბუნის კომლთა საერთო რიცხვის აღნიშვნა 202 ყოვლად მიუღებელია. თუ თარხანს მივიღებთ 6, ფუხარას 9 და გამოძლებს 37 (მახტა 3, „დარჩა“ 34), მაშინ საერთო ჯამი გამოვა 52, რაც უფრო შეეფერება პირველ რედაქციის საერთო ჯამს 50-ს.

19. ქალაგორის თაბუნის შესახებ მერმენდელ შესწორებულ რედაქციაში გამოძლებთა რიცხვი ნაჩვენებია 16, მახტა 1. ჩვენ ეს ორჯე შევაერთეთ გამოძლებთა რიცხვში.

26. ქაფანაქი ჯათარას თაბუნის შესახებ ნათქვამია: კომლი 44, თარხანი 9, ფუხარა 7. დარჩა კომლი 20. თუ პირველი სამი რიცხვი სწორია და ასედაც უნდა იყოს, რადგან ფუხარის რიცხვი (7) სწორეთ 20% -ს შეადგენს საერთო რიცხვისას თარხანის გამოკლებით ($44 - 9 = 35 \times 0,20 = 7$), მაშინ გამოძლებთა რიცხვი იქნება 28 და არა 20.

28. ყაზახი ისმაილას თაბუნის შესახებ ნათქვამია: „კომლი 25, თარხანი 4. დარჩა გამოძლები 17“. გამოტოვებულია ფუხარა 4, რომელიც სწორეთ 20% შეადგენს საერთო ჯამისას ($23 - 4 = 21 \times 0,20 = 4$). იმავე ყაზახი ისმაილას თაბუნის შესახებ შემდეგ ნათქვამია: „ამისი სალაპარაკო 27“. როგორც ეხლანდელ ქართულში, ისე წინათაც (იხ. ნასყიდობის წიგნება 1675/1700 და 1727. წლ. საქ. სიძვ. I № 247. III № 569) სიტყვა „სალაპარაკო“ ნიშნავს სადაოს. ეტყობა 25 კომლის მაგიერ, რომელიც აღუნიშნავს მდივანბეგს ამ თაბუნში, მერმენდელ რედაქციას მოუწოდონებია 27 დაეწერა, რაზედაც დაინტერესებულ პირთ უთუოდ დავა ასტეხეს. რადგან ეს დავა საბოლოო გადაწყვეტილად არ სჩანს, იგი სათვალავში მისაღებიც არ არის.

29. ყამარლუს შესახებ ნათქვამია: „კომლი 10, თარხანი 1, ფუხარა 3, დარჩა 7“. თუ პირველი სამი ციფრი სწორია, მაშინ გამოძლებთ რიცხვი იქნება 6 და არა 7. იმავე თაბუნის შესწორებაში ნათქვამია: „ამისი 5 გამოველით ფუხარას, დარჩა 4, გამოტოვებულია თარხანი 1“.

31. ჩალაბლუს ანგარიშის დროს ლანჩაბარის რიცხვი (82) ჩვენ შევუერთეთ გამოძლებთა რიცხვს (7) რადგან ლანჩაბრები თარხანი არ აყენენ, გამოვიდა 89.

32. ხიალუ მერაბას თაბუნის შესახებ ნათქვამია: კომლი 68, თარხანი 4, ფუხარა 17, დარჩა 51. აქ ფუხარას შესახებ შეცდომა უნდა იყოს. 68-ს 4 რომ გამოვაკლოთ მივიღებთ 64, მისი $0,20$ შეადგენს 13-ს, გამოძლებთა რიცხვი დარჩება 51. იმავე თაბუნის საერთო რიცხვი მელიქიშვილის ვარიანტით უდრის 67, ჩვენ ანგარიშში მიღებული გვაქვს ალექსი მესხიშვილის რედაქცია.

ამგვარად აღდგენილ და შესწორებულ ტექსტის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია შემდეგი ნუსხა შევადგინოთ მდივანბეგის მიერ აღწერილ ელის სოფლების და თაბუნებისა;

		კოლმთა რიცხვი			
		საერთო	თარხანი	ფუხარა	ბამბ- ღები
1. ალავერდი	პირვ. რედ.	74	7	13	54
	შესწორ. რედ.	72	7	12	53
2. ამირ ხასარლუ მოლა აბდულასშვილის და ყადიმოლას თაბუნი	—	98	18	16	64
3. ამირ აბადლუ ფირმამ ადასი თ.	—	80	14	23	43
4. დემურჩი ასანლუ უზბაშის თ.	—	376	30	70	276
5. დემურჩი ასანლუ შარაფადინასი თ.	პირვ. რედ.	109	19	18	72
	შესწორ. რედ.	122	19	21	82
6, 7. დურღა ამირასანას თ.	პირვ. რედ.	67	8	12	47
	შესწორ. რედ.	65	8	11	46
8. მასხედლუ ოთარ მდიენის თ.	—	9	—	—	9
9. მულალუ სეიდ ყასუმა ალი ადას თ.	პირვ. რედ.	57	11	9	37
	შესწორ. რედ.	63	6	11	46
10 ნაზარლუ უსეინას თ.	პირვ. რედ.	32	6	5	21
	შესწორ. რედ.	46	13	—	33
11. ნასიბლუ ბაზიერები	—	16	16	—	—
ბაზიერების გარდა	პირვ. რედ.	43	5	7	31
	შესწორ. რედ.	27	4	4	19
12. ნაჯბადინი	—	106	6	—	100
13. სავანლუ	—	94	9	17	68
14. სარაჯლუ (ყარაჯლუ) ემინასი თ.	—	18	4	2	12
15. სარენები	—	43	7	7	29
16. სარუ საპუნჩი მუსტოფას თ.	—	93	13	16	64
17. სრვანი	—	56	—	—	56
18. თალაქათი იმირხანის თაბუნი ალა იალა ოღლი უსეინას	პირვ. რედ.	50	6	8	36
	შესწორ. რედ.	52	6	9	37

		კოლმთა რიცხვი			
		საერთო	თარხანი	ფუხარა	გამომ- ლები
19. ფალაქარი-მალისი თ.	—	16	4	—	12
20. ქოლაგირი	პირვ. რედ. შესწორ. რედ.	28 24	3 3	5 4	20 17
21. ქალაქლარი	—	12	3	—	9
22. ქათანაქჩი აჯი ალიას თ.	—	14	2	—	12
23. ქათანაქჩი ფათას თ.	—	68	21	10	37
24. ზარგრები ფათას თ.	—	8	1	—	7
25. ქათანაქჩი ჯაფარას თ.	—	44	9	7	28
26. ქათანაქჩი აჯი მამადას ოთარ მდიენის თ.	—	18	—	—	18
27. ქეშალუ ყოჯას თ.	პირვ. რედ. შესწორ. რედ.	21 24	5 6	3 3	13 15
28. ქოსალუ გოგჯა ოთარ მდიენის თ.	—	6	—	—	6
29. ყახახი ისმაილისა თ.	—	25	4	4	17
30. ყამარლუ, მდიენბეგს აბარია	პირვ. რედ. შესწორ. რედ.	10 10	1 1	3 5	6 4
31. ყარადემურჩი მოლა ხანველას თ.	—	21	2	4	15
32. ჩალაბლი	—	94	5	—	89
33. ხიალუ მერაბას თ.	—	68	4	13	51
34. ჯავანშირი თარხანნი	—	90	7	16	67
ს უ ლ	პირვ. რედ. შესწორ. რედ.	1964 1978	250 252	288 285	1426 1441

ირკვევა, რომ მდივანბევის აღწერაში შეტანილია ელის 34 სოფელი და თაბუნი, 1964 კომლი, აქედან 250 თარხანი, 288 ფუხარა და 1426 გამომღები. რაც შეადგენს საერთო ჯამისას დაახლოებით: თარხანი 13⁰/₀, ფუხარა—15⁰/₀ და გამომღები—72⁰/₀. ფუხარას რიცხვი კი საერთო ჯამთან შედარებით თარხნების გამოკლების შემდეგ (1964 — 250 = 1714), შეადგენს 17⁰/₀-ს.

იმ ცვლილებებით, რომელიც ვახტანგის რედაქციას შეუტანია იმავე 34 თაბუნში და სოფელში ითვლებოდა 1978 კომლი. აქედან თარხანი 252, ფუხარა 285 და გამომღები 1441, რაც საერთო ჯამთან შეადგენს იმავე ⁰/₀ თარხანი—13⁰/₀, ფუხარა 15⁰/₀, გამომღები 72⁰/₀-ს.

ფუხარას რიცხვი კი საერთო ჯამთან შედარებით თარხნების გამოკლების შემდეგ შეადგენდა 17⁰/₀.

როგორც ამ გამოანგარიშებიდან სჩანს შესწორების შემდეგ საერთო რიცხვი კომლთა ცოტათ (14-ით) გადიდებულა, მაგრამ პროცენტული ურთიერთობა თარხნებისა, ფუხარების და გამომღებთა ისევ იგი დარჩენილა.

ელის კომლთა და მათ განაწილების გამოანგარიშებაში ჩვენ შემდეგ ვიხელმძღვანელებთ ვახტანგის მიერ შესწორებული ციფრებით.

§ 106. 2. ელი თარხანის რაოდენობა დასტურლამალში აღნიშნული არ არის, მაგრამ იმისი დაახლოებითი გამოთვლა ამ რიგათ შეიძლება. ეს ელი განსაკუთრებულ მდგომარეობაში ყოფილა. იგი ითვლებოდა თარხანად, ე. ი. საზოგადოთ გადასახადებისგან ანუ ერთ-ერთ გადასახადისაგან განთავისუფლებულ ელად, მაგრამ მათზე ერთგვარი გადასახადი მაინც ყოფილა დადებული. საერთოდ ეს გადასახადი შეადგენდა 38 თუმანს და 8 მინალთუნს. იმ ნუსხის მიხედვით, რომელიც დასტურლამალშია მოყვანილი (ნე, ეს გადასახადი თითო თაბუნზე მოდიოდა 2 მინალთუნი და 10 შაური, 3 მინალთ, 5 მინალთ., 1 თუმანი, 1 თუმ. 2 მინ. და 10 შაური, 1 თუმ. და 5 მინ., 2 თუმ., 2 თუმ. 2 მინ. და 10¹/₂ შაური, 2 თუმ. და 5 მინ., 6 თუმანი. საერთოდ გადასახადები ელში, როგორც დანარჩენ ქვ. ქართლში, საკომლო იყო და ეს გადასახადიც უთუოდ ამგვარი იქნებოდა. საფიქრებელია, ყველა ამ თაბუნებზე შეწერილი იყო ერთი და იგივე რაოდენობის საკომლო გადასახადი. ამიტომ და მისი რაოდენობის შესატყობლად საჭიროა ყველა ეს ციფრები გავყოთ ისეთ უდიდეს რიცხვზე რომ ნაშთი არ დარჩეს. ასეთი რიცხვი 10 შაურია, რაც უნდა შეადგენდეს ელის საშუალო გადასახადს (როგორც გამომღებზე, ისე ბოგანოზე).

გადასახადების რაოდენობა ორი თაბუნის შესახებ სხვადასხვა ნაირად არის ნაჩვენები სულხან მდივნის და ალექსი—მესხიშვილის ვარიანტებში.

6. (იხ. ქვემო სია) არ უხლუხან მამადას თაბუნის გადასახადი სულხან მდივნის ვარიანტით ნაჩვენებია 1 თუმანი, ალექსი მესხიშვილის ვარიანტით 1 თუმანი 5 მინალთ.

9. (იქვე) დემურჩი შოლა აბდულ ყასუმას თაბუნის გადასახადი სულხან მდივნის ვარიანტით ნაჩვენებია 2 თუმ., ალექსი მესხიშვილის ვარიანტით 2 თუმ. 5 მინ.

ჩვენ საოვალავში უპირატესობას სულხან მდიენის ვარიანტის ციფრებს უაძლევეთ, როგორც უფრო ახლო დროისას დასტურლამალის შედგენის დროსთან.

ამგვარ გამოანგარიშების შემდეგ თარხანი ელის თაბუნების გადასახადები და მათი კომლთა რიცხვის განაწილება შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

თაბუნების სახელწოდება	გადასახადი თაბუნზე	კომლის რაოდენობა თუ ვინგაროშებთ 10 შაუას კოსლზე
1. ალავერდა მოლა ოღლის თ.	1 თ. 5 მინ.	30
2. ამირ ამადლუ მოლა ისმაილასი	2 მინ. 10 შ.	5
3. ამირ ამადლუ მოლა ფირმამადასი	2 მინ. 10 შ.	5
4. ანაყიზ ოღლი აჯი მუსასი	2 თუმ.	40
5. არუხლუ ახვერდასი	2. თუმ.	40
6. არუხლუ ხან მამადასი	1 თ.	20
7. ბრპისა	3 მინ.	6
8. გოდაკფრი	1 თუმ.	20
9. დემურჩი მოლა აბდულ ყასუმასი	2 თუმ.	40
10. დემურჩი ასანლუ მოლა მამადასი	5 მინ.	10
11. დერდი ოღლი-ხალილასი	6 თუმ.	120
12. ველი ხან ოღლი ველისა	1 თუმ.	20
13. იაშოლ ბოშ ოღლი ამადასი	2 მინ. 10 შ.	5
14. იბრეიმ ხალილ ოღლის ძმები	1 თ. 5 მინ.	30
15. იოლჩი ოღლი ასანასი	1 თ. 5 მ.	30
16. მამადასი ზარგარი	2 მ. 10 შ.	5
17. მარზა ოღლი მუსტაფასი	1 თ. 5 მ.	30
18. მოლა აბდულასშვილი მამადასი	1 თ. 2 მ. 10 შ.	25
19. მოლა ბაბაოღლი აბდულ ყასუმასი	5 მ.	10
20. მულანლუ ალი ოღლი მამადასი	5 მ.	10
21. ნაბადინლუ მოლა ალის	5 მ.	10
22. ნური ადას	1 თ. 5 მ.	30
23. სარუ საპუნჩი ყუჯურ ოღლის	1 თ.	20
24. უზბაშის	1 თ. 5 მ.	30
25. ფირმამადასი	1 თ. 5 მ.	30

თაბუნების სახელწოდება	გადასახადი თაბუნზე	კომლის რაოდენობა თუ ვიანგარიშებთ 10 შაურს კომლზე
26. ქაფანაქი აჯი შეფიას	2 თ. 2 მ. 10 შ.	45
27. ქეშალუყოჯასი	1 თ.	20
28. შაველა ფარეშას	1 თ.	20
29. შამანათ ოლლი ახვეოდასი	1 თ.	20
30. შარაფადინ აღასი	1 თ. 5 მ.	30
31. ჯავანშირი შათირი იბრეიმასი	5 მ.	10
32. ჯავანშირი შათირი მამადასი	5 მ.	10

ამის მიხედვით ელი თარხნის კომლთა საერთო რიცხვი გამოდის = 776.

საშუალო რაოდენობა თაბუნის კომლთა $(776 : 32) = 24$. ამ საერთო რიცხვს უნდა გამოვაკლოთ 13%, ე. ი. 101 თარხნები და 15%, ე. ი. 115 ფუხარა. დარჩება გამომღები 560.

უფრო სწორი იქნება შემდეგი გამოანგარიშება. თუ გამოანგარიშულ რაოდენობას ელისას (776) მივიღებთ მთლად, როგორც გადასახადის (10 შაურის) გადამხდლებად, მაშინ გამომღები გამოდის 776 (72%), თარხანი 140 (13%) და ფუხარა 162 (15%). სულ კომლთა რიცხვი = 1078 და თაბუნის კომლთა საშუალო რიცხვი — 33.

ორივე ეს გამოანგარიშება, ვიმეორებთ, მხოლოდ დაახლოვებითია, ისიც იმ იპოტეზაზე დამყარებული, თუ ამ ელში ერთი და იგივე რაოდენობის საკომლო გადასახადი იყო შეწერილი.

ჩვენ ვღებულობთ მეორე გამოანგარიშების ციფრებს.

გამოსარკვევია საკითხი, ხომ არ შედის ამ ელი თარხნის რაოდენობა მდივანბეგის მიერ აწერილ ელში. ვფიქრობთ არა, და აი რატომ:

1) რიცხვი თარხნებისა მდივანბეგის ელის დავთარში—252-ია, ელის თარხანის რიცხვი კი ჩვენი გამოანგარიშებით 776-ია, ე. ი. სამჯერ მეტი.

2) მდივანბეგის მიერ აწერილ ელის თარხნები განსაზღვრული ხალხია, ე. ი. მათი თარხნობა დაკანონებული იყო: ალაღარი, აღსაყალი, მოლა, გზირი და ბაზიერი. ელი თარხანის სია კი როგორც ეტყობა შეიცავს ყველა დარგის ხალხს, რომელიც განთავისუფლებული იყო მეფის განსაკუთრებული განკარგულებებით.

3) მდივანბეგის მიერ აწერილ ელის თარხნები—თარხნები არიან *ex officio* ე. ი. იმათი თარხნობა დაკანონებულია მუდმივია. ნე—თავის ელის თარხნობა არა მუდმივი ყოფილა, ე. ი. მეფეს შეეძლო ისინი დაეტოვებინა თარხნებათ შეეძლო მათი თარხნობის მოშლაც.

4) ელი თარხანის თაბუნების 32 სახელწოდებიდან 23 სახელწოდება სულ სხვაა, ვიდრე მდივანბეგის აღწერის სახელწოდებანი და არავითარი მზგავსება მათ შორის არ არის.

5) დანარჩენი 9 თაბუნის სახელწოდებათა და მათი რაოდენობა მდივანბეგის აღწერილ ელში და ელი თარხანში შემდეგ სურათს გვიჩვენებს:

	ნდ	ნე
1. ამილ ხასარლუ მოლა აბდულასშვილის და ყადიმოლასი	18	—
მოლა აბდულასშვილი მამადასი	—	25
2. ამირ ამადლუ ფირმამადას	14	—
ამირ ამადლუ მოლა ფირმამადასი	—	5
ფირმამადისი	—	30
3. აჯი მამადა ქაფანაქჩი ოთარ მდივანისა	—	—
აჯი ალი ქაფანაქჩის	2	—
აჯი შეფია ქაფანაქჩის	—	45
4. დემურჩი ასანლუ უზბაშის	30	—
უზბაშის	—	30
დემურჩი ასანლუ მამადას	—	10
5. დემურჩი ასანლუ შარაფადინასი	19	—
შარაფადინ ადასი	—	30
6. მულალუ სეიდ ყასუმა ალი ადას	11/6	—
მულანლუ ალი ოღლი მამადას	—	10
7. ქეშალუ ყოჯასი	5/6	—
ქეშალუ ყოჯასი	—	20
8. სარუ სააუნჩი მუსტაფასი	13	—
სარუ სააუნჩი ყუჯურ ოღლისა	—	20
9. ჯავანშირი თარხანი	7	—
ჯავანშირი იბრეიმასი	—	10
ჯავანშირი მამადასი	—	10

ცხრილიდან სჩანს, რომ ამ თაბუნებში ან სახელწოდება არ არის ერთგვარი, ან თარხნების რიცხვი. შეიძლებოდა სახელწოდება ერთნაირად მიგვეჩნია, მაგრამ თარხნების რიცხვი იმდენათ განირჩევა ერთი მეორისაგან, რომ მათი ერთი და იგივეობაზე ლაპარაკი სრულიად მეტია. მხოლოდ დემურჩი ასანლუ

უზბაჟს და უზბაჟს ყავთ ერთი და იგივე რიცხვის თარხანი (30), მაგრამ თუ ეს ორი სახელწოდება ეკუთვნის ერთსა და იმავე პირს, ამგვარი შეთანხმება თაბუნების კომლთა რიცხვისა შეიძლება მიეწეროს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ერთ და იმავე პირს ყავდა ორი კატეგორიის თარხნები, ერთი თარხნები *ex officio*, რომლებიც აღნიშნულია მდივანბეგის დავთარში, მეორე განსაკუთრებული მთელი თაბუნი თარხანი, დასახელებული დასტურლამალის ცალკე თავში (ნე).

